ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 24 ოქტომბერი, 2018 | №252 (7797) | ფასი: 60 თეთრი

## ქეთი დოლიძე: „სააკაშვილის გამო ლამის ქმარს გავშორდი“

„ნინელი ჭანკვეტაძემ მიღალატა“ გვ.6



# „ქალოვნები სალომე ზურაბიშვილისთვის ხმის მიცემაზე უარს ამბობენ“





გვ.2

## დიმიტრი ბიძინაშვილი: „ბიძინა ივანიშვილს ქველმოქმედის იმიჯი კაგებემ შეუქმნა, რომ ის საქართველოს მოსახლეობას აერჩია“



## რატომ დანიშნა ქეთევან ციხელაშვილმა ლია გიგაური მოადგილედ



გვ.3

## დავით ჭიჭინაძე: „ეს პარლამენტი ივანიშვილის არ არის“

გვ.4



## გლდანის მე-8 დაწესებულებაში ადვოკატებს ყველას დასანახად ჩხრეკენ

გვ.4



„ქალებს სთხოვენ, ქამარი მოიხსენი, ეს გაიხადე და ის გაიხადე... ჩვენც რა ვქნათ, მიტრიალდებით, მოტრიალდებით და მაინც დაინახავ“

## სოზარ სუბარი თანამდებობიდან მიდის?

გვ.3



რა ცვლილებები იგეგმება მთავრობაში



მურმან ქურიძე

## გიწვევთ ევრაზიის ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების საერთაშორისო დეგუსტაცია-კონკურსზე „საქართველო — ღვინის სამშობლო“

გვ.6

**სამართალი** გვ.7

### „ოცნების“ დეპუტატ გიორგი კახიანის სახლი გაქურდეს



### გიორგი გახარია და დიმიტრი ქუმსიშვილი ლონდონის სასამართლომ გამოიძახა



### „პოლიციის თანამშრომლებმა მაწამეს და ვიდეოს მიღებდნენ“

რა მოხდა მარტვილში



ISSN 1987-9385

**4** სახელმწიფო ბიუჯეტიდან იანვარ-სექტემბერში 718 მილიონი ლარი აუთვისებელი დარჩა

**6** ემზარ ჯგერენაია: „ლარის კურსზე არჩევნებიც მოქმედებს“

**5** მირიან მირიანაშვილი: „2019 წელს ვადამდელი არჩევნები ჩატარდება“

**6** აფხაზეთში გაზი 30%-ით გაძვირდა

# „ქალოვნები სალომე ზურაბიშვილისთვის ხმის მიცემაზე უარს ამბობენ“

## დიმიტრი ბიძინაშვილი: „ბიძინა ივანიშვილს ქველმოქმედის იმიჯი კაგებემ შეუქმნა, რომ ის საქართველოს მოსახლეობას აერჩია“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ არის სახიფათო სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტება, როგორ შოულობენ ფულს „ოცნების“ ჩინოსნები, რატომ გაუარესდა ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ წარმომადგენელი დიმიტრი ბიძინაშვილი ესაუბრება.**

***— საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება გამოიწვია ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ სამტრედიაში „ქართული ოცნების“ დეპუტატ გიორგი კახიანის სახლი გაძარცვეს. ამაზე თქვენ სოციალურ ქსელში დაწერეთ, რომ ქურდებს არ უნდოდათ დეპუტატის სახლის გატეხა, მაგრამ, სხვაგან სადაც შევიდნენ, არაფერი დახვდათ და, იძულებული გახდნენ, ისევ ეს გაეძარცვათ.***

— ქვეყანაში უმძიმესი კრიმინოგენური ვითარებაა და ამას კვლევებიც ადასტურებს. გამოკითხულთა 73% თვლის, რომ 2012 წლის შემდეგ ქვეყანაში კრიმინალი გაიზარდა. სწორედ მაშინ გვითხრა ხელისუფლებაში მოსულმა ივანიშვილმა, რომ გაგებით უნდა მოვეკიდოთ კრიმინალის მატებას. ამის შემდეგ დაიწყო კრიმინალმა მატება და დღეს ის, როგორც ლექსო ჭიკაიძე იტყოდა, შესანიშნავ მდგომარეობაშია.

კრიმინალები, რომლებიც ქუჩაში თავისუფლად დადიან, ადამიანებს არა მარტო აყაჩაღებენ, არამედ აუთოებენ და ყურსაც კი აჭრიან. დაიწყო ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანების გატაცებები, არც გაუპატიურებების ფაქტები გვაკლია.

***— პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ამტკიცებს, რომ გაუპატიურებით ნაციონალური მოძრაობა გამოირჩეოდა.***

— ვინც არის გაუპატიურებისკენ მიდრეკილი, კარგად ვნახეთ. ყოფილმა მთავარმა პროკურორმა სპორტის ყოფილი მინისტრი ცემა, სარდაფში ჩააგდო და გაუპატიურებით დაემუქრა.

ქვეყანაში არის ჩვეულებრივი 90-იანი წლები, როდესაც ყველა ყველაფერს აკეთებდა. ასეთ ვითარებში რა გასაკვირია, რომ კრიმინალმა მოიმატა. კრიმინალებსაც უჭირთ მუშაობა — ხალხი ისეა გაღატაკებული, რომ მათი სახლებიდან არაფრის წაღება არ შეიძლება. ქურდებს ძალაუნებურად უწევთ მაღალი თანამდებობის პირების გაძარცვა, დღეს მხოლოდ მათი სახლებიდან შეიძლება რაღაცის წაღება.

კახიანის სახლის ძარცვა არ არის პირველი შემთხვევა, როცა მაღალი თანამდებობის პირებს ჰპარავენ რაღაცებს. წინა წლებში ქუთაისში ადგილობრივი სუსის უფროსი გაძარცვეს, ზესტაფონში მოსამართლისა და პოლიციის უფროსის სახლი გატეხეს.



***— ნეტა გაძარცვული ჩინოსნებიც გაგებით მოეკიდნენ თავიანთი სახლების ძარცვას?***

— არა მგონია, მომატებულ კრიმინალს ხალხი უნდა მოეკიდოს გაგებით. თავად ამდენი წელი გაგებით ეკიდებოდნენ ხალხის ძარცვას. ახლა ქურდებმა ხელისუფლების წარმომადგენლებს მიაკითხეს. დარწმუნებული ვარ, ძალიან აღშფოთდებოდნენ. აქ გამოსავალი მხოლოდ ერთია — თუ არ გინდა, გაგძარცვონ, მაშინ არც კრიმინალი უნდა გყავდეს შესანიშნავ მდგომარეობაში და არც ხალხი უნდა აცხოვრო სიდუხჭირეში.

***— როგორც ამბობთ, კრიმინალები უკვე ხელისუფლებას მიადგნენ. „ქართული ოცნება“ ისევ დუმს. ვინ უნდა გაძარცვონ ისეთი, რომ ხელისუფლებამ კრიმინალებს რეალური ბრძოლა გამოუცხადოს?***

— არაფერზე რეაგირება არ არის, სწორედ ეს არის „ქართული ოცნების“ სავიზიტო ბარათი. ეს ხალხი არც კრიმინალს უპირისპირდება და არც — გაჭირვებას, არც სხვა პრობლემები აინტერესებთ. მოკლედ რომ გითხრათ, უუნაროები არიან.

***— რატომ არიან უუნაროები? ყველამ ვნახეთ, რა მაგარი სახლები წამოჭიმეს ჩინოსნებმა.***

— საკუთარი ეზოები და სახლები ბიუჯეტის ფულებით კარგად მოაწყვეს ამ კორუმპირებულმა და გაზულუქებულმა ჩინოსნებმა. ქვეყანა რანაირად უნდა აშენდეს, როცა ყველაფერი ამათი სასახლეების მშენებლობას ხმარდება.

***— მართალია, მათი სასახლეები ძალიან შთამბეჭდავად გამოიყურება, მაგრამ მათი აშენება თურმე იაფი ჯდება. ირაკლი სესიაშვილმა რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ ამხელა სასახლის შავი კარკასი 37.000 დოლარი დაუჯდა.***

— ამაზე რა პასუხი უნდა გაგცეთ? რანაირად დაჯდა სამსართულიანი, ვიტრაჟებიანი და ტერასებიანი სასახლის აშენება 37.000, როდესაც ამ ფასად ერთოთახიან ხრუშჩოვკას ვერ იყიდით.

ეს განცხადება ჩვენი დაცინვაა. მეოცნებეები მთელ ხალხს დასცინიან და უნდათ, რომ ყველამ მათ ჭკუაზე იაროს. ახლა მთელი ძალების მობილიზება მოახდინეს, რომ ხალხს მოღალატე სალომე ზურაბიშვილი აარჩევინონ პრეზიდენტად. დამიჯერეთ, ამ ქალმა თუ არჩევნებში გაიმარჯვა, რაც დღეს პრობლემებია ქვეყანაში, ყველაფერი დაგვავიწყდება.

***— რატომ დაგვავიწყდება, აღარ იქნება კრიმინალი შესანიშნავ მდგომარეობაში?***

— კრიმინალი ისევ კარგად იგრძნობს თავს, მაგრამ ამ ქალის არჩევა სხვა რეალობას შექმნის. ის საბოლოოდ დაგვაკარგვინებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს. ამით „ოცნება“ თავის გადაცდომებს გადაფარავს.

ქართველი შიმშილსაც გაუძლებს, სიცივესაც და უწყლობასაც, თუ ეცოდინება, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა აღდგება, მაგრამ, ამ იმედს თუ წაართმევ, ძალიან ცუდად წავა საქმე.

„ოცნება“ პრეზიდენტად გვაჩეჩებს ისეთ ადამიანს, რომლის ყველა სიტყვა რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს. ხვალ და ზეგ ჰააგაში განახლდება სასამართლო პროცესი, სადაც რუსეთი ზურაბიშვილის ნაბოდვარს გამოიყენებს იმის დასამტკიცებლად, რომ ომი ჩვენ დავიწყეთ.



ამ ქალის ნაბოდვარით რუსეთი შეეცდება იმის დამტკიცებას, რომ ჩვენმა სამხედროებმა მძინარე ცხინვალი დაბომბეს და ოსებს გენოციდი მოუწყვეთ. ეს იმით დასრულდება, რომ ცხინვალის რეგიონს საბოლოოდ დავკარგავთ. იმის გაფიქრებაც კი მზარავს, რომ საქართველოს პრეზიდენტი შეიძლება ასეთი ადამიანი გახდეს.

***— მოდით, ისევ გაზულუქებულ ჩინოსნებს მივუბრუნდეთ. ასე თავს რომ გავიდნენ, ეს ხალხის ბრალი ხომ არ არის? ყველაფერს გაგებით ვეკიდებით და იმათაც ფრთები გაშალეს.***

— საზოგადოება გაგებით არ ეკიდება მათ თავგასულობას, მაგრამ ხალხი ნიჰილიზმშია ჩავარდნილი. ამბობენ, ხმა რომ ამოვიღოთ, მაინც არაფერი გამოვაო. ნიჰილიზმში ერი ივანიშვილმა და მისი ხელის გოგო-ბიჭებმა ჩააგდეს.

ბოლო დროს ხალხი ცოტა გამოფხიზლდა. ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა იმ ჩანაწერებმა, რომლებმაც „ოცნების“ სახე გამოაჩინეს. აუდიოჩანაწერებზე გვითხრეს, რომ ეს იყო სიცრუე. მერე ჩანაწერის ვიდეოც გამოქვეყნდა და ვნახეთ, თურმე როგორ ლაგდება ბიზნესები.

ვნახეთ ისიც, რომ ქვეყნის მართვაში ისეთი ადამიანები ერევიან, რომლებიც არაფერს წარმოადგენენ. ამის ნათელი მაგალითია ოთარ ფარცხალაძე. ის გერმანიაში ბოტასის ქურდობისთვის დააკავეს, ამათ კიდევ მთავარ პროკურორად დასვეს.

გადადგა თუ არა თანამდებობიდან, ერთ კვირაში 3 მილიონის ქონება გაიფორმა. საიდან დააგროვა ამხელა ქონება, კაციშვილმა არ იცის და ამას ვერც თავად ასაბუთებს. მანვე სახელმწიფოსგან 200.000 ლარად შეიძინა მიწის ნაკვეთი და ერთი წლის თავზე სახელმწიფომ მისგან ეს ნაკვეთი 1.200.000-ად გამოისყიდა. მარტო ამ საქმიდან დარჩა ყოფილ მთავარ პროკურორს მილიონი.

***— ასე გაძვირდა ერთ წელიწადში მიწა?***

— ვერავინ გაიგო, ასე ძალიან როგორ გაიზარდა მიწის ფასი. ეს მხოლოდ „ოცნებაში“ ეცოდინებათ. მთელი „ოცნება“ ბიუჯეტის ჭამით არის დაკავებული, იციან, რომ მალე დაკარგავენ ძალაუფლებას და უნდათ, რაც შეიძლება მეტი მოასწრონ.

ეგენი კი წავლენ, მაგრამ საქართველოსა და მისი მოქალაქეების ინტერესები დაზარალდება. მას შემდეგ, რაც ესენი ხელისუფლებაში მოვიდნენ, სიღარიბე მატულობს და მატულობს ქვეყანაში. არის რეგიონები, სადაც ადამიანები ფქვილს, შაქარსა და ზეთს განვადებით ყიდულობენ. სამაგიეროდ, ივანიშვილმა და მისმა ხელის ბიჭებმა აიხდინეს ოცნება.

ეს ხელის ბიჭები ბიძინას თავის ნებაზე ჰყავს მიშვებული და ისინიც უპრობლემოდ აძლევენ მამა-მარჩენალს ერთ ლარად მიწის ნაკვეთებს.

***— ერთ ლარად ქონების გადაცემა წინა ხელისუფლებასაც ახასიათებდა. ირაკლი სესიაშვილი როგორც ამბობს, სააკაშვილმა თავისი პრეზიდენტობის დროს 27.000 ერთეული ქონება გააჩუქა ერთ ლარად.***

— წინა ხელისუფლების დროს იყო პრობლემები და სწორედ ამის გამო გადაირჩია ხალხმა ნაციონალური მოძრაობა. რაც შეეხება ერთ ლარად ქონების გადაცემას, ასეთი ფაქტები ხშირად იყო, მაგრამ, ისიც ვთქვათ, რატომ აძლევდნენ ამა თუ იმ პირს ერთ ლარად ქონებას.

როცა ქონებას ერთ ლარად იმიტომ აძლევდნენ, რომ იქ ინვესტიცია უნდა ჩადებულიყო, იქ ინვესტიცია აუცილებლად იდებოდა. დღევანდელი ხელისუფლება კი სულ სხვანაირად უყურებს ამას. მოგიყვანთ რამდენიმე მაგალითს. მიხეილ სააკაშვილმა რაგბის კავშირს ერთ ლარად მისცა მიწა, სადაც რაგბის სტადიონი უნდა აშენებულიყო. დღეს ეს მიწის ნაკვეთი დეველოპერების ხელშია, სადაც ორი 18-სართულიანი კორპუსი უნდა ჩადგან.

მიხეილ სააკაშვილმა კრწანისში ერთ ლარად გააჩუქა დიდი ტერიტორია, სადაც ბოტანიკური ბაღისა და რეკრეაციული ზონის გაშენება იგეგმებოდა. იქ 3 მილიონის ინვესტიცია უნდა ჩაედოთ. კახა კალაძე შეუთანხმდა დეველოპერებს და იქ, სადაც ბოტანიკური ბაღი უნდა აშენებულიყო, კორპუსებს აშენებენ.

„ქართული ოცნება“ კი ივანიშვილს იმიტომ ჩუქნის ერთ ლარად ქონებას, რომ მას ასიამოვნონ. მისთვის ერთ ლარად ქონების ჩუქება ნგრევის ტოლფასია.

***— ნგრევის ტოლფასი რატომ არის?***

— შეხედეთ ლაგუნა ვერეს და



ნახავთ, რატომაც არის ნგრევა. ლაგუნა ვერე და იქ არსებული შენობები უკვე რამდენიმე წელია, რაც ივანიშვილის მფლობელობაშია. იქაურობა, ფაქტობრივად, განადგურებულია. ახალი იქ არაფერი კეთდება.

ის კაცი თავისი ინტერესების გარეშე ერთ ნაბიჯს არ დგამს. საიდანაც ფული არ შეუვა, იქ ერთ თეთრსაც კი არ ჩადებს. თავისი ნებით მას არც აქამდე გაუკეთებია ქვეყნისთვის რამე და არც მომავალში გააკეთებს.

***— „ოცნება“ სულ იმას გვაძახებს, 3 მილიარდი ჩადო ამ ქვეყანაშიო. გინდა თქვათ, რომ მას ამ ფულის ჩადებას სააკაშვილი და შევარდნაძე აიძულებდნენ?***

— 2012 წლის მერე მას საქართველოსთვის არც ერთი თეთრი არ დაუხარჯავს. რაც შეეხება 3 მილიარდის უანგაროდ დახარჯვას, აქ ორი ვარიანტია, მას ან აიძულებდნენ ამ ფულის დახარჯვას სხვადასხვა პროექტში, ანდა რუსეთი აკეთებდა ამას და მას ქველმოქმედის იმიჯს უქმნიდა.

ქველმოქმედის იმიჯს იმისთვის უქმნიდნენ, რომ ოდესმე ივანიშვილი, როგორც დიდი ქველმოქმედი, ისე აერჩია ქართველ ხალხს.

მის მიერ 3 მილიარდის დახარჯვის სხვა ვარიანტი არ არსებობს. ფაქტია, რომ 2012 წლის მერე ამ კაცს თითი თითზე არ დაუდია და ბუნებრივად იბადება ეჭვი, რომ მას პროექტებში ფულს ადებინებდნენ.

ივანიშვილი კაგებეს ქველმოქმედი რომ არ ყოფილიყო, ქველმოქმედებას ახლაც გააგრძელებდა. ახლა ის იმაზე ფიქრობს, როგორ დააგროვოს მეტი ქონება. მისი ნამდვილი სახე ალბათ საზოგადოებამაც დაინახა და მალე ქვეყანაში ყველაფერი შეიცვლება.

რამდენიმე დღეში საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებია და ამ დღეს თუ ზურაბიშვილს აირჩევს ხალხი, ძალიან ცუდად წავა საქმე. მთელი ქვეყანა იმ სისულელეების გამოსწორებაზე იქნება გადართული, რასაც ეს ქალი ჩაიდენს.

***— იქნება არაფერი ჩაიდინოს, წინასწარ ამის თქმა როგორ შეიძლება.***

— იმაზე მეტი რაღა უნდა გააკეთოს, რაც უკვე გააკეთა.

***— რას გულისხმობთ?***

— მის განცხადებებს აგვისტოს ომზე. ეგ თუ პრეზიდენტი გახდა, მის სიტყვებს ძალიან დიდი ძალა ექნება. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, როცა ქვეყნის პრეზიდენტი იტყვის, რომ 2008 წელს ომი საქართველომ დაიწყო.

ამ განცხადებამ მთელი ქვეყანა გააოგნა და, როგორც მე ვიცი, ძალოვანი სტრუქტურები უარს ამბობენ მისთვის ხმის მიცემაზე. ის ადამიანი, რომელიც ქვეყანას ომის დაწყებაში ადანაშაულებს, მისი მთავარსარდალი არ უნდა იყოს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რატომ დანიშნა ქეთევან ციხელაშვილმა ლია გიგაური მოადგილედ

## „არ შეიძლება, ადამიანი წინასწარ იყოს დისკრიმინირებული“

გულიკო ბალაძე

**„ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრში“ შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ქეთევან ციხელაშვილმა რუსეთის მიერ საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებიდან გატაცებული საქართველოს მოქალაქეების გათავისუფლების საკითხებზე ისაუბრა.**

სახელმწიფო მინისტრი გამოეხმაურა სოფელ ოკამის მცხოვრებლების, 1985 წელს დაბადებული სოსო შუკაკიძისა და 1987 წელს დაბადებული გიორგი შამანაურის გატაცებას.

ქეთევან ციხელაშვილის განცხადებით, საოკუპაციო ხაზიდან გატაცებული მოქალაქეების მიმართ საოკუპაციო რეჟიმი გარკვეულ ზომებს იყენებს.

– ძალიან მძიმეა, როდესაც ჩვენ ძალისმიერ პოლიტიკას ვუპირისპირდებით, მაგრამ შედეგები, რომლებიც გვინდა, რომ დადგეს, გატაცებების შეჩერება და ადამიანების გადაადგილების თავისუფლებაა.

ამ ტერიტორიაზე საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან ადამიანების უფლებები ირღვევა. ჩვენი ამოცანაა, ამ ძალისხმევის გაგრძელებით აღიკვეთოს არა მხოლოდ გატაცებების ცუდი პრაქტიკა, არამედ, საერთოდ დაიშალოს მავთულხლართები, რომლებიც ამდენ პრობლემას უქმნის ჩვენს მოქალაქეებს გამყოფი ხაზების ორივე მხარეს, – აღნიშნა ციხელაშვილმა.

მინისტრი იტალიაში ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრ დიმიტრი მედოევის ჩასვლასაც შეეხო.

– მედოევის სიცილიაში ჩასვლა არის კერძო ინიციატივა და იტალიის სახელმწიფოს პოზიციასთან საერთო ვერ ექნება, რადგან მათ მიერ ეს არაერთხელ დადასტურდა და მომავალშიც დადასტურდება, რომ იტალია მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, – განაცხადა ციხელაშვილმა.

სახელმწიფო მინისტრს „ახალმა თაობამ“ რამდენიმე კითხვა დაუსვა.

***– ქალბატონო ქეთევან, პუტინმა განაცხადა, ჩვენ დიდი ტერიტორიები გვაქვს და სხვისი ტერიტორიები არ გვჭირდებაო. ჩვენ მოლაპარაკებებზე რუსეთის მხარეს ვერ ვუმტკიცებთ, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ჩვენი ტერიტორიებია თუ ეს განცხადება რუსეთის პრეზიდენტის მხრიდან მისი იმპერიული ზრახვების დამალვას ემსახურება?***

– დამტკიცებაზე საერთოდ სად არის საუბარი. რუსეთს დამტკიცებული საოკუპაციო პოლიტიკა აქვს. მას აქვს ქვეყნის სუვერენულ საზღვრებში შეჭრის, მისი ტერიტორიების მითვისების, სუვერენიტეტის რღვევისა და კონფლიქტების წარმოქმნის პოლიტიკა. როგორც ჩანს, რუსეთისთვის მის სამეზობლოში მოუგვარებელი კონფლიქტები განიხილება, როგორც გავლენის ერთ-ერთი ინსტრუმენტი.

ამიტომ, ვუმტკიცებთ თუ არა, აქ რაციონალური არგუმენტაცია არ არის გამოყენებული. გამოყენებულია მავთულხლართები და ათასობით ჯარისკაცი იმისთვის, რომ თავისი სამხედრო ინტერესები გაატაროს. ჩვენი ამოცანაა, არ მოვადუნოთ ძალისხმევა, რათა ჩვენი სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიანი პროცესი შევინარჩუნოთ და ეს პრინციპები საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ იყოს მხარდაჭერილი, რათა რუსული პოლიტიკა შეკავდეს.

***– მარია ზახაროვამ განაცხადა, რომ მზად არიან, საქართველოს ტერიტორიაზე, იქ, სადაც მავთულხლართები დაამონტაჟეს და ადამიანებს თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში იტაცებენ, საზღვრის დემარკაცია მოახდინონ, რომ არ იყოს გატაცებები. რუსების ასეთი განცხადებები რას ემსახურება?***

– მსგავსი განცხადებებით მათ სურთ, თავიანთი ძალისმიერი პოლიტიკის ლეგიტიმაცია მოახდინონ არარსებულ საზღვარზე, რომელიც არც არის და არც იქნება მომავალში. მათ სურთ, საზღვრის ერთგვარი დემარკაცია და მონიშვნა გააკეთონ. ეს, ბუნებრივია, არ მოხდება, რადგან დღეს მათი პოლიტიკა ცალსახად ქართველების, ოსებისა და აფხაზების წინააღმდეგ არის მიმართული.

მავთულხლართები სრულიად არაბუნებრივად ადამიანების საკარმიდამო ნაკვეთებშია აღმართული. ამიტომ მავთულხლართების პოლიტიკას მომავალი და პერსპექტივა არ გააჩნია. ამაში სრულიად ვარ დარწმუნებული.

***– ხშირი გატაცებებით უნდათ გვაიძულონ, რომ საზღვრის დემარკაციას დავთანხმდეთ?***

– ეს, რა თქმა უნდა, ზეწოლის ბერკეტია საზოგადოებაზე, მაგრამ ჩვენ დიპლომატიური და სამართლებრივი გზით, მოლაპარაკებებით მშვიდობიან ბრძოლას გავაგრძელებთ, რომ ეს მახინჯი პრაქტიკა დასრულდეს და ამ დაშინების, მაპროვოცირებელმა პოლიტიკამ თავის მიზნებს არ მიაღწიოს.

* * *

ქეთევან ციხელაშვილს განმარტების გაკეთება მოუხდა ლია გიგაურთან დაკავშირებითაც, რომელიც მის მოადგილედ დაინიშნა.

მინისტრის თქმით, ლია გიგაური პროფესიონალია და არ შეიძლება, ადამიანი წინასწარ იყოს დისკრიმინირებული გარკვეული მოსაზრებებისა თუ ეჭვების საფუძველზე.

– ლია გიგაური თავისი საქმის ძალიან მაღალი პროფესიონალია. ჩვენ ერთად მუშაობის დიდი გამოცდილება გვაქვს. ვფიქრობ, მისი პროფესიონალიზმი და გამოცდილება წაადგება სამოქალაქო ინტეგრაციის ამოცანებსა და პოლიტიკის ეფექტურად განხორციელებას. ის სწორედ ამ მიმართულებაზე იქნება კონცენტრირებული.



ვიცი, რომ ერთ-ერთ საკითხს, რომელზეც კითხვები იყო, შემხვედრი სასამართლო სარჩელიც აქვს. საკითხები აუცილებლად უნდა იქნეს მოკვლეული სამართლებრივ სივრცეში, თუმცა ბრალზე საუბარი ვერ იქნება და არ შეიძლება, ადამიანი იყოს წინასწარ დისკრიმინირებული გარკვეული მოსაზრებებისა თუ ეჭვების საფუძველზე, – განაცხადა ქეთევან ციხელაშვილმა.

ლია გიგაური განათლების მინისტრის მოადგილე იყო და ცოტა ხნის წინ გაათავისუფლეს, ახლა კი სახელმწიფო მინისტრის მოადგილედ დაინიშნა. ის სამოქალაქო თანასწორობის მიმართულებებზე იმუშავებს.

ლია გიგაურთან დაკავშირებით სახელმძღვანელოების გრიფირების საკითხზე მიმდინარეობს გამოძიება, თავად გიგაური კი ამბობს, რომ აუდიტის დასკვნაში, რომელიც გრიფირების საკითხებს უკავშირდება, მისი გვარი არ არის მოხსენიებული.

– იმედი მაქვს, დაინტერესებულ პირებს დოკუმენტის გაცნობის საშუალება ექნებათ და ყველა კითხვას ამომწურავი პასუხი გაეცემა. პირველ რიგში ჩემს ინტერესებშია, რომ ამ აბსურდულ პროცესს წერტილი დაესვას, – განაცხადა ლია გიგაურმა.

სახელმძღვანელოების გრიფირების საკითხთან დაკავშირებით განათლების სამინისტროს აუდიტის სამსახური მოკვლევას აწარმოებს.

# ლია გიგაური მის წინააღმდეგ ბრალდებებს უსაფუძვლოს უწოდებს

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ლია გიგაური მის წინააღმდეგ გაჟღერებულ ბრალდებებს უსაფუძვლოს უწოდებს და ამბობს, რომ აუდიტის დასკვნაში, რომელიც გრიფირების საკითხებს უკავშირდება, მისი გვარი არ არის მოხსენიებული. ასე ეხმაურება გიგა-



ური ატეხილ აჟიოტაჟს იმასთან დაკავშირებით, რომ გრიფირების საკითხთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების მიუხედავად, გიგაური სახელმწიფო მინისტრის მოადგილედ დაინიშნა.

– მინდა გამოვეხმაურო ჩემ წინააღმდეგ სრულიად უსაფუძვლოდ აგორებულ ცილისმწამებლურ კამპანიას და საზოგადოება ჩავაყენო საქმის კურსში, რომ აუდიტის დასკვნაში, რომელიც გრიფირების საკითხებს უკავშირდება, ჩემი გვარი არ არის მოხსენიებული. იმედი მაქვს, დაინტერესებულ პირებს დოკუმენტის გაცნობის საშუალება ექნებათ და ყველა კითხვას ამომწურავი პასუხი გაეცემა. პირველ რიგში ჩემს ინტერესებშია, რომ ამ აბსურდულ პროცესს წერტილი დაესვას, – განაცხადა ლია გიგაურმა.

შეგახსენებთ, რომ სახელმძღვანელოების გრიფირების საკითხთან დაკავშირებით განათლების სამინისტროს აუდიტის სამსახურის მიერ მოკვლევა მიმდინარეობს.

# სოზარ სუბარი თანამდებობიდან მიდის?

## რა ცვლილებები იგეგმება მთავრობაში

შორენა მარსაგიშვილი

**საპრეზიდენტო არჩევნების მოლოდინში გასუსული ერი ახლო მომავალში სამთავრობო ცვლილებებით გახალისდება. ცვლილებები ნაარჩევნებს იქნება და, როგორც ამბობენ, ძირითადად ძალოვნები შეიცვლებიან.**

გავრცელებული ინფორმაციით, თანამდებობას დატოვებს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონული მართვის ხელმძღვანელი სოზარ სუბარი. ის ისეთ სკანდალშია გახვეული, რომ წესით უკვე წასული უნდა იყოს. წასული თუ არა, განცხადება მაინც უნდა ჰქონდეს დაწერილი გადადგომაზე.

მისგან განსხვავებით, თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება უკვე დაწერილი ჰქონია სუსის უფროს ვახტანგ გომელაურს.

პირველი რადიოს ინფორმაციით, გადადგომის შესახებ განცხადება გომელაურს რამდენიმე კვირის წინ აქვს დაწერილი, თუმცა მას თანამდებობიდან წასვლაზე არჩევნების დასრულებამდე უარი უთხრეს. მისი წასვლა არჩევნების შემდეგ გადაიდო.

ბევრს საუბრობენ თავდაცვის მინისტრის შეცვლაზეც. რამდენიმე კვირის წინ „ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ ლევან იზორიას გადადგომის შესახებ განცხადება უკვე დაწერილი აქვს, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო ის თანამდებობას ინარჩუნებს.

პირველი რადიოს ინფორმაციით, იზორიას ბედი იმ სკანდალებმა გადაწყვიტა, რომლებიც მის გარშემო ბოლო პერიოდში აგორდა.

საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან ტყვია-წამლის უკანონოდ გაყიდვის ბრალდებით შეიარაღებული ძალების 3 სამხედრო დააკავეს, თუმცა, მინისტრ ლევან იზორიას ბრძანებით,



ამბავი დამალეს.

თავდაცვის სამინისტროდან იარაღის გაყიდვის სკანდალამდე იზორიას სახელი კიდევ ერთ სკანდალს დაუკავშირდა – საუბარია ჩხოროწყუში პოლიციის უფროსის ოჯახიდან აფხაზური აქციზის მქონე სიგარეტის არალეგალურ გაყიდვაზე, ასევე – საწვავის. რაიონის პოლიციის უფროსი ჯუმბერ იზორიაა, რომელიც თავდაცვის მინისტრის ნათესავია.

პირველი რადიოს ცნობით, იზორიას თანამდებობიდან გაშვების კიდევ ერთი მიზეზი აუდიტის დასკვნა იქნება, რომლის მიხედვითაც სამინისტროში ფინანსური დარღვევებია. ასევე საუბარია ტენდერებსა და შესაძლო თაღლითურ საქმეებზე, რომლითაც პროკურატურა უკვე დაინტერესდა.

სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემულია სამინისტროს 5 თანამშრომელი. ასევე იზორიას გადაყენების მიზეზი შესაძლოა ჯარში არსებული ვითარება იყოს. ამასთან, არსებობს ინფორმაცია, რომ თავდაცვის მინისტრს დაძაბული ურთიერთობა აქვს პრემიერ-მინისტრთან.

აუდიტის დასკვნის მიხედვით, თაღლითურმა სქემამ, რომელიც თავდაცვის სამინისტროში წლების განმავლობაში მოქმედებდა, სახელმწიფო ბიუჯეტი 200 ათასი ლარით დააზარალა. სამინისტროს საფინანსო სამსახური ფულს ყოფილი თანამშრომლების სახელფასო ანგარიშებზე რიცხავდა, თუმცა, სად მიდიოდა ათიათასობით ლარი, ეს ამ ეტაპზე უცნობია.

ნაარჩევნებს მინისტრის სავარძელთან განშორება შესაძლოა მაია ცქიტიშვილსაც მოუწიოს. „ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ ინფრასტრუქტურის სამინისტროში ტენდერებთან დაკავშირებით რამდენიმე სკანდალი აგორდა, თან ისეთი სკანდალები, რომ ცქიტიშვილს შესაძლოა ბიძინა ივანიშვილთან ახლობლობამაც ვერ უშველოს.

მაია ცქიტიშვილი მთავარი მეოცნების ნდობით აღჭურვილ პირად ითვლება. რაღაც დროის განმავლობაში ის პრემიერის პოსტზეც კი განიხილებოდა.

პირველი რადიოს წყაროს ცნობით, მაია ცქიტიშვილის თანამდებობიდან გაშვების მიზეზად საბიუჯეტო და საინვესტიციო თანხების აუთვისებლობა სახელდება, რომლის გამოც ბიუჯეტმა 1,6 მლნ ლარის ჯარიმა გადაიხადა. ამასთან, სამთავრობო გუნდში მაია ცქიტიშვილს მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების ტემპის შეფერხებას საყვედურობენ.

# დავით ჭიჭინაძე: „ეს პარლამენტი ივანიშვილის არ არის“

ნათია ხურცილავა

**„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში კვლავ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების გარდაუვალობაზე საუბრობს.**

***– ბატონო დავით, ბიძინა ივანიშვილის ეს ინტერვიუ, თქვენი აზრით, რამეს შეცვლის? არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე შეძლებს ამომრჩეველი ერთგვარად შემოაბრუნოს?***

– მე ვფიქრობ, რომ უკვე ვერაფერს ვეღარ შეცვლის ამ ინტერვიუთი, რადგან ადამიანებს არჩევანი უკვე გაკეთებული აქვთ, ან ისინი სახლში დარჩებიან. მე ვფიქრობ, რომ ამ ინტერვიუს ნაცვლად ჯობდა „ქართულ ოცნებას“ თავისი კანდიდატურა დაესახელებინა.

***– თქვენ ისევ იმ აზრზე ხართ, რომ მმართველ პარტიას თავისი რიგებიდან უნდა დაესახელებინა კანდიდატი?***

– რა თქმა უნდა. თუ ფიქრობენ, რომ 41-ზე უკეთესად 48 ჟღერს, ძალიან ცდებიან. თუმცა, 41 მართლა მობეზრდა ხალხს.

***– პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ ეს იყო ივანიშვილის ტაქტიკური სვლა, რომ გუნდის ერთიანობა შეენარჩუნებინა. საუბარია სამ ჯგუფზე, კალაძის, კვირიკაშვილის და ე.წ. ძველებზე, რომლებსაც თავიანთი კანდიდატები ჰყავდათ ამ არჩევნებზე.***

– არა, მე არ ვეთანხმები ამ მოსაზრებას, რადგან ბევრად უფრო მარტივად და ბანალურად არის საქმე.

***– თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?***

– მე ვიცი, რომ არავინ არ დაეთანხმა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას. ძალიან ბევრი ღირსეული და პატიოსანი ადამიანი ფიქრობს, რომ დღეს აღარ არის „ქართული ოცნების“ კანდიდატობა ღირსეული საქმე. დღეს „ქართული ოცნება“ აღარ არის ის პრესტიჟული პარტია, რომელიც თავის დროზე არსებობდა. ისე, მამუკა მდინარაძე და არჩილ თალაკვაძე აგვისტოში ემიჯნებოდნენ სალომე ზურაბიშვილის განცხადებას.



***– „ქართული ოცნების“ გუნდი რეალურად დაყოფილია რამდენიმე ჯგუფად, მაგალითად, კალაძის, კვირიკაშვილის?***

– რაც შეეხება კვირიკაშვილის ფრთას, რეალურად რომ ყოფილიყო ეს ფრთა, მაშინ დღეს გიორგი კვირიკაშვილი პრემიერ-მინისტრი იქნებოდა. როდესაც დიდი გარჩევა იყო უმრავლესობის სხდომაზე, მაშინ ერთმა ადამიანმაც კი არ დაასველა სიტყვა და არავინ გამოესარჩლა. კვირიკაშვილი ძალიან შეცდა თავის გუნდში.

რაც შეეხება კახა კალაძეს, კალაძე ბიძინა ივანიშვილთან შედარებით იმდენად პატარაა, რომ მას თავისი გუნდი ჰყავდეს, ეს შეუძლებელი მგონია.

***– მაშ რა ხდება?***

– ყველანი ბიძინა ივანიშვილის მომხრეები არიან, მაგრამ ისინი გარე ფაქტორებზე უფრო არიან ორიენტირებულები, ვიდრე შიდა ფაქტორებზე, შესაბამისად, ბიძინა ივანიშვილზე.

***– ბატონო დავით, თქვენ განაცხადეთ, რომ „ოცნებას“ დღეს პარლამენტში კი აქვს უმრავლესობა, მაგრამ ეს არ არის ივანიშვილის უმრავლესობა. რას გულისხმობდით, რომ საპარლამენტო სია მისი შედგენილი არ არის თუ რას?***

– ეს სია ნამდვილად არ არის ივანიშვილის მიერ დაკომპლექტებული და ეს ფაქტია. შესაბამისად, ეს პარლამენტი ნამდვილად არ არის ივანიშვილის პარლამენტი.

***– დღეს პარლამენტში ვინ წარმართავს პროცესებს?***

– რამდენიმე ადამიანი, რომლებიც პირადი ურთიერთობებით მოქმედებენ. ისე, ამ სიაში არც ერთი ძველი სახე არ მოხვდებოდა, ისეთი ტემპით ცვლიდნენ ყველაფერს. მე ვფიქრობ, რომ მოქმედი პარლამენტი ივანიშვილისთვის დასაყრდენი არ არის, ამიტომ ძალიან ფრთხილად უნდა იყოს.

მე არ გამოვრიცხავ, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დღის წესრიგში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დადგეს. მერწმუნეთ, ვადამდელი არჩევნები ძალიან აქტუალური გახდება, რომ მეტ-ნაკლებად მაინც დააბალანსოს ვითარება.

***– რომ ამ ხალხისგან განთავისუფლდეს და ახალი საპარლამენტო სია თავად ივანიშვილმა დაწეროს? ამას ამბობთ?***

– დიახ, სწორედ ამას ვამბობ. ისე ხალხის ცვლილებით ბევრი არაფერი შეიცვლება, თუ ამ კურსს არ შეცვლის და ამის შესახებ ღია გზავნილები არ ექნება, პოლიტიკა უნდა შეიცვალოს ზოგადად.

ყველა გაცხადებული ეკონომიკური პროექტი ჩაფლავდა. მაგალითები შემიძლია დაგისახელოთ: 50 ათასი სამუშაო ადგილი. საბანკო სფეროსთან დაკავშირებული დაპირებები, რომელიც ჰქონდა პრემიერ-მინისტრს, ვერც ამის შესრულებას ვერ ვხედავთ. მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელი განხორციელდა?! ამიტომ ახალი ეკონომიკური პროგრამა უნდა ჩამოყალიბდეს, რომელიც სოციალურად იქნება ორიენტირებული. ველური კაპიტალიზმის დრო აღარ არის.

მეორე, რასაკვირველია, სამართლიანობა არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რომლის განცდაც ამ ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს უნდა გაუჩნდეს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ასევე, რასაკვირველია, ვიდეო ფაილებისგან და იმ ადამიანებისგან განთავისუფლება არის მნიშვნელოვანი, რომელთა შესახებაც ყველამ გაიგო.

# გლდანის მე-8 დაწესებულებაში ადვოკატებს ყველას დასანახად ჩხრეკენ

## „ქალებს სთხოვენ, ქამარი მოიხსენი, ეს გაიხადე და ის გაიხადე... ჩვენც რა ვქნათ, მიტრიალდები, მოტრიალდები და მაინც დაინახავ“

იაგო ნაცვლიშვილი

**ადვოკატები აცხადებენ, რომ ფარული ჩანაწერების გავრცელების შემდეგ სასჯელაღსრულების მერვე დაწესებულებაში ადვოკატების ციხეში შესვლა გართულდა. კერძოდ, საუბარია ჩხრეკის პროცედურაზე. თუ აქამდე ჩხრეკა სპეციალურ ოთახში ტარდებოდა, ახლა ეს დაწესებულების შესასვლელშივე ტარდება. ადვოკატები ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევაზე საუბრობენ.**

**ალნიშნულ საკითხზე „ახალი თაობა“ „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ადვოკატ დიმიტრი ნოზაძეს ესაუბრა.**



***– ბატონო დიმიტრი, მოუყევით ჩვენს მკითხველს, რა შეიცვალა ფარული ჩანაწერების გავრცელების შემდეგ ციხეში შესვლასთან დაკავშირებით?***

– ციხეში პატიმრებთან პირველად არ შევსულვარ. შესაბამისად, უცხო თემა არ არის ეს ჩემთვის. როდესაც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შედიხარ, ჩვეულებრივი პროცედურაა, რომ შეგამოწმონ.

***– ეს ალბათ უსაფრთხოების გამო.***

– დიახ, ეს იმისთვის კეთდება, რომ ცდუნება არ იყოს, ბასრი საგანი ან რაიმე სხვა აკრძალული საშუალება შეიტანო. მაგრამ, ეს ხდებოდა ყოველგვარი სტანდარტების დაცვით. არსებობს ჩვეულებრივი გასაჩხრეკი ოთახი. ეს ოთახები მანდილოსნებისთვის ცალკეა და მამაკაცებისთვის – ცალკე. ამ ოთახში ვტოვებდით ლითონის ნივთებს, სამკაულებს და ა.შ.

მაგრამ ამ ფარული ჩანაწერების შემდეგ ვითარება შეიცვალა იმ თვალსაზრისით, რომ ჩხრეკა ხდება პირდაპირ შესასვლელში. არ არის დაფარული, მანდილოსნებს როგორ ჩხრეკენ და ჩვენ – როგორ.

ეს დიდ დისკომფორტს უქმნის ქალბატონებს, რომლებსაც სთხოვენ, რომ ქამარი მოიხსენი, ეს გაიხადე და ის გაიხადე... ჩვენც რა ვქნათ, მიტრიალდები, მოტრიალდები და მაინც დაინახავ, რაც სასიამოვნო არ არის. არავის აქვს სურვილი, იქ გაჩერდეს, იქ მიდიხარ შენს საქმეზე, მაგრამ ასეთი რაღაცა არ უნდა ხდებოდეს.

***– არ გააპროტესტეთ?***

– კი, გავაპროტესტეთ, მაგრამ შედეგი არ მოჰყოლია. როდესაც მოვითხოვე პასუხი, ეს რატომ ხდება, როცა აქამდე არ ხდებოდა-მეთქი, მოიმიზეზეს, ეს ჩანაწერების გავრცელების შემდეგ ხდებაო. მესმის, რომ ჩხრეკის ზომები გაამკაცრონ, მაგრამ ეს უნდა ჩატარდეს გასაჩხრეკ ოთახში და არა ყველას დასანახად. ჩვენ აუქციონზე არ გავდივართ, ადამიანები ვართ!

***– რა ქმედების განხორციელებას აპირებთ ამ მიმართულებით?***

– ადვოკატთა ასოციაციაც აპირებს, გაავრცელოს აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადება. ყოველ შემთხვევაში ეს ფაქტი რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს. ჩვენ თუ ჩვენს უფლებებს ვერ დავიცავთ, სხვის უფლებებს როგორ დავიცავთ?!

***– მიიჩნევთ თუ არა ამას ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევად?***

– რა თქმა უნდა, თავისთავად უხეში დარღვევაა, რადგან განსაზღვრულია წესები, როგორ, რა ფორმით და რა პირობებში უნდა ჩატარდეს ჩხრეკა. ეს იგივეა, ნებისმიერი ადამიანი ყველას დასანახად გააჩერო და დაუწყო ჩხრეკა.

***– ეს ყველა დაწესებულებაში ასეა თუ კონკრეტულ დაწესებულებაში გაამკაცრეს ზომები?***

– მე მერვე დაწესებულებაში მიწევს სიარული. ადრეც დავდიოდი და ახლაც დავდივარ. ადრე ჩვეულებრივ ტარდებოდა ეს პროცედურები. ამაზე ადრე წინააღმდეგობა არავის გაგვიწევია, შევდიოდით გასაჩხრეკ ოთახში და იქ ხდებოდა. ელექტრონულადაც ტარდებოდა შემოწმების პროცედურა და ვიზუალურადაც. მაგრამ ეს არ ხდებოდა გარეთ, შესასვლელში. გასაჩხრეკი ოთახის ფუნქციაც გაუგებარია. რაღა საჭიროა მაშინ გასაჩხრეკი ოთახი.

***– სხვა ადვოკატებთანაც თუ გქონიათ კომუნიკაცია და მათაც იგივე პრობლემები აქვთ?***

– კი, რა თქმა უნდა.

***– სხვა დაწესებულებებშიც იგივე ხდება თუ ეს პრობლემა მხოლოდ მერვე დაწესებულებაშია?***

– ბოლოს როდესაც ვიყავი რუსთავის დაწესებულებაში, იქ ჩვეულებრივად შევედი. იქ საჩხრეკ ოთახში ხდება ინდივიდუალურად ჩხრეკის პროცედურა. ამოწმებენ იმასაც, ფეხსაცმელში შიგნით ხომ არაფერი გილაგია. ყველას დასანახად რომ გავეჩხრიკეთ, ასეთი რამე არ ხდებოდა.

***– ანუ მარტო მერვე დაწესებულებაშია ასე?***

– ამ ჩანაწერების შემდეგ მერვე დაწესებულებაში როდესაც შევედი, მას შემდეგ სხვაგან აღარსად ვყოფილვარ. სხვა დაწესებულებებში რას და როგორ აკეთებენ, არ ვიცი.

***– საჩივარი ხომ არ დაგიწერიათ ან უახლოეს პერიოდში ხომ არ აპირებთ?***

– საჩივარი არ დაგვიწერია. ყველამ დავაფიქსირეთ ჩვენი პოზიცია, მაგრამ არ დაგვიწერია საჩივარი. რამდენიმე ადვოკატი საჩივრის დაწერასაც აპირებდა, მაგრამ, დაწერს თუ არა, არ ვიცი.

***– სხვა მხრივაც ხომ არ არის შეზღუდვა ფარული ჩანაწერების შემდეგ?***

– შესვლის მხრივ არაფერი გართულებულა. ციხეში პრობლემა ის არის, რომ გვიან ამოჰყავთ პატიმარი. ეს ჩანაწერებამდეც ასე იყო და ჩანაწერების შემდეგაც ასეა. ამ მხრივ არაფერი შეცვლილა.

# გიგა ბოკერია: „კატასტროფაა, როცა საქმეში, სადაც ჩვენი დევნილების დაბრუნების უფლების დავაზეა საუბარი, რუსეთის მხრიდან სალომე ზურაბიშვილის განცხადებებია გამოყენებული“



– კატასტროფაა, როცა საქმეში, სადაც ჩვენი დევნილების დაბრუნების უფლების დავაზეა საუბარი, რუსეთის მხრიდან სალომე ზურაბიშვილის განცხადებებია გამოყენებული.

ამის შესახებ პარლამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ განაცხადა. ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში საქართველოს სარჩელის საპასუხოდ წარდგენილ შესაგებელში რუსეთის ფედერაციის მიერ სალომე ზურაბიშვილის განცხადებების გამოყენებაზე „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლებმა კიდევ ერთი ბრიფინგი გამართეს.

როგორც ბოკერიამ განმარტა, წინააღმდეგობრივი ფაქტია, როცა პოლიტიკოსს უშიშროების საბჭოს ამბები გარეთ გამოაქვს. მისივე თქმით, სალომე ზურაბიშვილი ცრუობს, როდესაც ამბობს, რომ ქვეყნისთვის თავდაცვითი იარაღის შეძენა არის აგრესიისა და შურისძიების ტოლფასი.

– პირველივე დღიდან, როცა სალომე ზურაბიშვილმა ქვეყნისთვის საზიანო, სახიფათო და სამარცხვინო განცხადება გააკეთა, ყველას, ვინც საერთაშორისო დავების ისტორიას იცნობს, გაახსენდა მაგალითი, თუ როგორ გამოიყენეს მოქმედი პოლიტიკოსებისა და თანამდებობის პირების მიერ საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადება. არის ავსტრალიის საფრანგეთთან დავის კონკრეტული მაგალითი, როცა პრეზიდენტის განცხადება მეორე მხარემ ეფექტურად გამოიყენა, – აღნიშნა გიგა ბოკერიამ.

28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების გამო, ოკუპირებული ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება ე.წ. საზღვარზე გადაადგილებას ზღუდავს

28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების გამო, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლება ე.წ. საზღვარზე გადაადგილებას ზღუდავს. ამის შესახებ „სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი“ იუწყება.

– საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში უსაფრთხოების ზომების გაძლიერებასთან დაკავშირებით, 27 ოქტომბრის 20:00 საათიდან საქართველოსთან საზღვარზე მოქალაქეების გადაადგილება შეიზღუდება. გამშვები პუნქტების მუშაობა 29 ოქტომბერს 06:00 საათიდან ჩვეულ რეჟიმში აღდგება, – ნათქვამია განცხადებაში.

# სახელმწიფო ბიუჯეტიდან იანვარ-სექტემბერში 718 მილიონი ლარი აუთვისებელი დარჩა

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ცხრა თვის გეგმიდან 718 მილიონი ლარი აუთვისებელი დარჩა. მონაცემებს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა აქვეყნებს.

კერძოდ, იანვარ-სექტემბერში იგეგმებოდა 8,99 მილიარდი ლარის დახარჯვა, ათვისებამ კი 8,272 მილიარდი ლარი შეადგინა.




ყველაზე დიდი ჩამორჩენა ინფრასტრუქტურის სამინისტროს ჰქონდა. უწყების მიერ ცხრა თვეში მილიარდზე მეტის დახარჯვა იგეგმებოდა. ათვისებამ კი 806 მილიონი ლარი შეადგინა, რაც გეგმაზე 204 მილიონით ნაკლებია.

178 მილიონი ლარის ნაცვლად 120 მილიონი დაიხარჯა ეკონომიკის სამინისტროს ბიუჯეტიდან. ცხრა თვეში უწყების მიერ აუთვისებელი თანხა 58 მილიონი ლარი იყო.

დაგეგმილზე 48 მილიონი ლარით ნაკლები დახარჯა თავდაცვის სამინისტრომ. იანვარ-სექტემბრის გეგმა 628 მილიონი ლარი იყო, ათვისებამ კი 580 მილიონი ლარი შეადგინა.

გეგმურ ხარჯებთან 77 მილიონი ლარით ჩამორჩენა დაფიქსირდა ჯანდაცვის სამინისტროში. 2,662 მილიარდი ლარის ნაცვლად დაიხარჯა 2,585 მილიარდი ლარი.

ბფმ.გე

# მირიან მირიანაშვილი: „2019 წელს ვადამდელი არჩევნები ჩატარდება“

## „საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ნეგატიური სიურპრიზები გამოირიცხა“



მარიამ მჭედლიშვილი

**ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, რომლებიც მიბმულია საგარეო საკითხებთან, „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“ ლიდერ მირიან მირიანაშვილს.**

**მირიან მირიანაშვილი:**

– დაანონსებული ქაოსის მიუხედავად, არეულობა არ იქნება. საარჩევნოდ და არჩევნების შემდეგ ნეგატიური სიუპრიზები საქართველოში გამოირიცხა.

***– ცოტა ხნის წინ აცხადებდით, რომ რუსეთს და მის სპეცსამსახურებს საქართველოში ქაოსის გამოწვევა უნდათ და ეს პროცესი დაიწყო.***

– დაიწყო, მაგრამ დასავლელი მოკავშირეების ძალისხმევით შეჩერდა. ხომ ხედავთ, ნაცმოძრაობამ გადაიფიქრა წინასაარჩევნოდ ქუჩის აქციების გამართვა. მოსკოვიდან მართული ნაციონალები ამას ვერც არჩევნების შემდეგ გააკეთებენ. აშშ-მ ისინი გააფრთხილა. ამას დაემატა სომხური დიასპორის, იგივე ლობის მცდელობა, არ დაეშვათ ქაოსი საქართველოში.

***– სომხურ დიასპორას, ალბათ, თავისი ინტერესი აქვს?***

– სომხეთში და მის ფარგლებს გარეთ ცნობილი გახდა რუსეთის გეგმა საქართველოში ქაოსის შესახებ. მისი შესრულება საქართველოში ნიშნავდა სატრანზიტო და სატრანსპორტო პრობლემების შექმნას სომხეთისთვის. ერევანი დაკავებულია პოლიტიკური სისტემის გადაფორმატებით. ეს პროცესი ჯერ არ დასრულებულა. ჩვენს მეზობელს დამატებითი თავის ტკივილი არ სჭირდება. სომხურმა დიასპორამ იმდენი იჩალიჩა, რომ გაახერხა აშშ-ის პრეზიდენტის მრჩევლის, ბოლტონის დაინტერესება ამ თემით.

***– ბოლტონი რუსეთის შემდეგ სამხრეთ კავკასიის ყველა ქვეყანაში ჩამოდის.***

– ეს ვიზიტი კიდევ ერთი გარანტი იქნება იმისთვის, რომ უახლოეს ხანში ჩაფიქრებული ქაოსი საქართველოს სახელმწიფოებრიობის მტრებს არ გამოუვათ. არჩევნები სტაბილურ რელსებზე გადადის. ამ განზრახვის შესრულებაში, სააკაშვილისა და მისი გარემოცვის გარდა, ჩაბმული იყვნენ მმართველი წრეები.

ლარის ახლანდელი გაუფასურება ამის ნაწილია. წესით, ლარი უნდა გამყარდეს.

რუსეთს დესტაბილიზაცია საქართველოში იმისთვისაც აწყობდა, რომ ამით უმტკივნეულოდ მოეგვარებინა ირანის საკითხი. რუსეთი ირანთან თანამშრომლობს. თან ცდილობს, გამოძვრეს შექმნილი რთული სიტუაციიდან. საქართველოს, ასევე კავკასიის სხვა ქვეყნების ტერიტორიები გამოყენებულია ირანის კონტრაბანდული ნავთობის გადასაზიდად. ეს ხდება კრემლის ხელშეწყობით და დაინტერესებით. ამაში პირადად ლავროვის დიდი ფინანსური ინტერესია. ირანის წინააღმდეგ სანქციებია დაწესებული. რუსეთი ღიად ვერ უპირისპირდება თეირანს, მაგრამ თან მისი „გადაგდება“ აქვს გადაწყვეტილი. თუ საქართველოში მართვადი ქაოსი წარმოიშვა, ირანს პრობლემები „თავისთავად“, რუსეთის აშკარა მოქმედებების გარეშე შეექმნება.

ბოლტონს საქართველოს წინაშე ორი მოთხოვნა ექნება – კონტრაბანდული ირანული ნავთობის გადაზიდვის არხის გადაკეტვა და ირანიდან იქაური მოსახლეობის საქართველოში გადმონაცვლების პროცესის შეჩერება-შეზღუდვა.

***– ირანელების ჩვენთან მოზღვავებამ სხვებსაც შეუქმნა პრობლემები?***

– ამ ნაკადში ბევრია ირანის სპეცსამსახურების თანამშრომელი. მათი ლოკალიზების ცენტრად თბილისი იქცა. ვაშინგტონისთვის ეს დამაზიანებელია.

***– ჩვენთან კომპრომატების ომი არ შენელებულა.***

– „ომეგას“ გარშემო ატეხილი ხმაური ამ გეგმის ნაწილი იყო. ამის შემდეგ „ქართულ ოცნებას“ გარედან მიანიშნეს, რომ მასაც შეეძლო ოპონენტებისთვის პასუხის გაცემა. სწორედ მაშინ გამოჩნდა ჩანაწერები ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობაზე სააკაშვილის დაკვეთით. ეს ძალიან მძიმე ბრალდებაა. ასეთ საქმეში გარეული ადამიანისთვის პოლიტიკაში ყოფნა წარმოუდგენელია.

***– ეს სააკაშვილს არ ეხება?***

– როგორ არ ეხება! მას მასალების გამომზეურებით კარიერა დაენგრა. საკითხავი ისაა, როდის მიიყვანს საქართველოს ხელისუფლება ამ საქმეს ბოლომდე. ეს რუსეთზეა დამოკიდებული.

***– რუსეთს სააკაშვილის კარიერის დასრულება არ აწყობს?***

– ეს დამოკიდებულია პუტინის გეგმებზე. თუ კრემლს სააკაშვილი უკრაინაში კიდევ დასჭირდა, მაშინ ბადრი პატარკაციშვილის საქმეს გააჭიანურებენ. მართალია, ეს სკანდალური და ბინძური საქმე ძირითადად გახსნილია, მაგრამ ბოლომდე მიყვანილი არ არის და შეიძლება თაროზე შემოიდოს.

თუ კრემლს სააკაშვილი უკვე არ სჭირდება, მაშინ ამ საქმეს მალევე დაასრულებენ და ამით დაამთავრებენ სააკაშვილის პოლიტიკურ მომავალსაც. სხვათა შორის, პატარკაციშვილის მკვლელობა პირადად სააკაშვილისა და მისი გარემოცვის „თვითშემოქმედებაა“. კრემლს პატარკაციშვილის მკვლელობა ხელს არ აძლევდა.

***– სააკაშვილს რჩება პარტია.***

– ნაცმოძრაობა და სხვა მოქმედი მთავარი პოლიტიკური ძალები მალე მოსცილდებიან პოლიტიკურ პარნასს. საქართველოში იწყება პოლიტიკური გადაფორმატების პროცესი. ადრეც მითქვამს, რომ აშშ გააძლიერებს თავის პოლიტიკურ გავლენას საქართველოში. მსგავსი პროცესი ჯერ ისევ მიმდინარეობს სომხეთში. ხავერდოვანი რევოლუცია სისტემის შესაცვლელად აუცილებელი არ არის.

***– მთავარი პარტიები ჩრდილში მალე როგორ გადავლენ, როცა ისინი პარლამენტში არიან წარმოდგენილი?***

– ამისთვის დღის წესრიგში დგება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საკითხი. დასავლეთში მიაჩნიათ, რომ 2019 წელს ამ არჩევნების გამართვა აუცილებელია. ხალხის „რჩეულებს“, რომლებიც დღეს პარლამენტში არიან, აშშ არ ენდობა. მათთვის ყველა ეს პარტია მიუღებელია, რაც უნდა პროდასავლური სახელი დაირქვას.

საპრეზიდენტო არჩევნები მშვიდად ჩაივლის. სალომე ზურაბიშვილს, ნაციონალებთან ერთად, აქამდე ძირს უთხრიდა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების ნაწილი. დღეს სიტუაცია შებრუნდა. თუ ადრე ეს პოლიტიკოსები ზურაბიშვილს ციფრებითაც ებრძოდნენ და მის რეიტინგს 17%-ით აფასებდნენ, დღეს 53%-ზე ავიდნენ.

2018 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება

თქვენ 6 წლის ვადით ირჩევთ საქართველოს პრეზიდენტს

ამომრჩეველთა საყურადღებოდ!
კენჭისყრა იმართება 08:00 საათიდან 20:00 საათამდე

კენჭისყრის შენობაში შესვლისას ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი და გაიარეთ მასთან მარკირების შემოწმების პროცედურა

**თუ აღმოჩნდა, რომ გაქვთ მარკირება, არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება**

მარკირების შემოწმების პროცედურის გავლის შემდეგ მიდით სარეგისტრაციო მაგიდასთან და რეგისტრატორს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი

გაიარეთ მარკირების პროცედურა

**მარკირებაზე უარის თქმის შემთხვევაში, არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება**

ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ გააკეთეთ ხელმოწერა

მიიღეთ რეგისტრატორისგან ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენი

კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენში შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი ერთი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი

**თუ გაგიფუჭდათ საარჩევნო ბიულეტენი, მიმართეთ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, გადაეცით გაფუჭებული და მოითხოვეთ ახალი საარჩევნო ბიულეტენი**

კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ, აიღეთ სპეციალური კონვერტი და დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენი მოათავსეთ მასში

სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში

**კენჭისყრაში მონაწილეობის შემდეგ, გთხოვთ, დატოვოთ საარჩევნო უბანი**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის კენჭისყრაში დამოუკიდებლად მონაწილეობისთვის უზრუნველყოფილია:

- **უსინათლო ამომრჩევლისთვის** – ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა
- **მცირემხედველი ამომრჩევლისთვის** – გამადიდებელი ლინზა
- **ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლისთვის** – ადაპტირებულ უბნებზე ხმის მიცემის სპეციალური კაბინა
- **ყრუ და მხარდაჭერის მიმღები პირებისთვის** – ხმის მიცემის ამსახველი პოსტერი

თუ დამოუკიდებლად არ შეგიძლიათ შეავსოთ საარჩევნო ბიულეტენი, უფლება გაქვთ, კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მოიწვიოთ ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა.

ცესკოს ვებგვერდი ადაპტირებულია უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის.

ყრუ და სმენადაქვეითებულ ამომრჩეველს, ცესკოს ვებგვერდზე რეგისტრაციის შემდეგ საშუალება აქვს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში განახორციელოს ვიდეო ზარი და ისარგებლოს ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორის მომსახურებით.

ვესაუბრებით ამომრჩევლებს!

ცესკო

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

WWW.CESKO.GE
+995 32 2 51 00 51

# ემზარ ჯგერენაია: „ლარის კურსზე არჩევნებიც მოქმედებს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში ემზარ ჯგერენაია პასუხობს.**

***— ბატონო ემზარ, საზოგადოება შეშფოთებული ადევნებს თვალს ლარის არასტაბილურობას. საწვავის ფასიც გაძვირდა და ამ ფონზე ძვირდება პირველადი მოხმარების პროდუქტები. რას გვეტყვით, გაქვთ რაიმე დამაიმედებელი პროგნოზები?***

— რა გითხრათ, ყველაფერი ჩამოთვალეთ, რაც კი გვჭირს. საწვავის ფასი ძვირდება იმიტომ, რომ მთელს მსოფლიოში გაძვირდა და ბარელი ნავთობი ავიდა 81-ზე. ეს საკმაოდ სერიოზული ზეწოლაა გარედან საქართველოს ბაზარზე. ერთადერთი, რამაც საწვავი გააძვირა, არის ეს. სხვა განსაკუთრებული არაფერი არ მომხდარა შიგნით, საქართველოში.

***— ლარზე რას იტყვით?***

— ცუდ დღეშია. ჩვენ გვიწევს საგარეო ვალის გადახდა, რაც ლარზე სერიოზულად მოქმედებს და ზეწოლას ახდენს. ეს რყევებიც, როგორც ჩანს, ამით არის განპირობებული.

***— ფიქრობთ, რომ შესაძლოა ლარი კიდევ უფრო გაუფასურდეს, რადგან საგარეო ვალია გადასახდელი?***

— აქ რამდენიმე ფაქტორია, თუმცა მთავარი მაინც საგარეო ვალის მომსახურების ფაქტორია. მეორე, რა ხდება რუსეთში და რა მდგომარეობაა



თურქეთში და მესამე, არჩევნებია და არჩევნების პროცესში ინვესტორი ფრთხილად ეკიდება ინვესტიციის ჩადებას. ეს საკმაოდ სერიოზული მიზეზია, ინვესტიცია როცა არ იზრდება.

***— ანუ არჩევნებიც სერიოზულ გავლენას ახდენს ლარზე?***

— თავისებურ გავლენას ახდენს, ბუნებრივია. საზოგადოება მოლოდინის რეჟიმშია, თუ რა მოხდება ხვალ.

***— თუ აქვს ხელისუფლებას შემუშავებული რაიმე პოლიტიკა? ოპონენტები ძალიან ბევრს აკრიტიკებენ, რომ არ მიდის სწორი გზით ეკონომიკური გუნდი, რომ არ აქვს სტრატეგია ეროვნულ ბანკს. რას იტყვით თქვენ ამ ყველაფერზე?***

— ეროვნული ბანკი რატომღაც ამ ყველაფერს მშვიდად უყურებს. თუმცა მე ვხედავ შეშფოთებულ ადამიანებს, რომლებსაც კრედიტები აღებული აქვთ დოლარებში და უწევთ ძალიან დიდი საზღაურის გადახდა. რა თქმა უნდა, მათი ინტერესები და ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის ინტერესები განსხვავებულია ერთმანეთისგან. რაც შეეხება მთავრობის პოლიტიკას, რაიმე ახალი და განსაკუთრებული ბოლო პერიოდში არ მომხდარა. არაფრის დემონსტრირება არ მიმდინარეობს, დაველოდოთ. ჯერ არანაირი ნაბიჯები არ გადადგმულა, ვნახოთ, რას მოიმოქმედებს მთავრობა უახლოეს ხანებში.

***— აგვიანებენ ხოლმე რეაქციებს და რატომ? არ აქვთ სწორი ხედვა და კურსი?***

— ვერ გეტყვით. ამაზე რომ გიპასუხოთ, იქ უნდა ვიჯდე, მე იქ არ ვარ. ეს უნდა ვკითხოთ მთავრობას. რატომ აგვიანებენ რეაქციებს, რას უცდიან. მათ სხვანაირი პოლიტიკა აქვთ, ჩვენ — სხვანაირი. ჩვენი მიზანი სხვა არის და მათი მიზანი — სულ სხვა.

# ქეთი დოლიძე: „სააკაშვილის გამო ლამის ქმარს გავშორდი“

## „ნინელი ჭანკვეტაძემ მიღალატა“



ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს რეჟისორი ქეთი დოლიძე პასუხობს.**

***— ქალბატონო ქეთი, არაერთმა თქვენმა კოლეგამ შეიცვალა დამოკიდებულება ამ ხელისუფლებისადმი. სულ სხვა განწყობები იყო 2012-ში და სულ სხვაა დღეს. მოვისმინეთ ბევრი განაწყენებული ადამიანის პოზიცია და მათ შორის არ ყოფილხართ თქვენ. მიუხედავად იმისა, რომ განაწყენებული ხართ, მაინც ძველ პოზიციაზე რჩებით?***

— დიახ, ვრჩები. ვერც მოისმენდით, იმიტომ, რომ მე ასე ადვილად ადამიანებს ზურგს არ ვაქცევ.

***— ძალიან ხშირად გახსენებენ თქვენ და ნინელი ჭანკვეტაძეს, სოფელ-სოფელ დადიოდნენო.***

— რამდენიც უნდათ, იმდენი გამიხსენონ. ნინელი ჭანკვეტაძემ მე მიღალატა და „ოცნებასთან“ რა ურთიერთობა და რა კავშირი აქვს, ნამდვილად არ ვიცი. ეს ჩემი ტკივილია და ყველამ დამანებოს თავი. ადამიანი როდესაც ასეთ ახლობელს უღალატებს, მას შეუძლია, სხვასაც უღალატოს. მე როგორც ვიყავი 2012 წელს „ოცნების“ მხარდამჭერი, დღესაც ისე ვარ, თუმცა მგონია, რომ „ოცნების“ რიგები, განსაკუთრებით ბოლო სამ წელიწადში ვინც მიეტმასნა, უნდა გაიწმინდოს აუცილებლად.

დიდი იმედი მაქვს, რომ ეს მოხდება. მე არც იმისთვის მივლია, რომ რაიმე თანამდებობას ველოდი და, სხვათა შორის, არც ნინელის, მიუხედავად ჩემი დიდი გულისტკივილისა მასთან დაკავშირებით. არც მას და არც მე იმისთვის არ გვივლია, რომ რამე თანამდებობა მიგვეღო. არავითარ შემთხვევაში.

***— ქალბატონო ქეთი, რას იტყვით იმ პოლიტიკურ ვითარებაზე, რომელიც დღეს ქვეყანაშია შექმნილი? კომპრომატების ომი, ფარული ჩანაწერები... არ დასრულდა ეს თემა.***

— ფარული ჩანაწერები არის სააკაშვილის ერთადერთი კოზირი. მას დამთავრებული აქვს კგბ-ს სკოლა, კიევში ის სასწავლებელი პირადად კგბ-ს ექვემდებარებოდა საბჭოთა კავშირის პერიოდში. მერე ორი წელი სააკაშვილი მსახურობდა კგბ-ს ჯარში. მან სხვანაირი მეთოდი არ იცის. ამიტომ დღესაც მოქმედებს ზუსტად იმ კანონებითა და წესებით, რომლებიც ასწავლეს. ისევე, როგორც მისი ბიძა კგბ-ს თანამშრომელი იყო. აბა სხვანაირად კანადაში ვინ გააგზავნიდა ადამიანს სამუშაოდ, თუ არ იყო კგბ-თან შეკრული?

არ დაგავიწყდეთ, ვსაუბრობ კომუნისტების დროზე. სააკაშვილიც, ვაშაძეც, თემურ ალასანიაც — ეს ხომ პირდაპირ ნომენკლატურაა კგბ-სი. ეს ხომ ყველამ ვიცით. აირჩია საქართველომ? ჰოდა, ძალიანაც მიქარა, რომ აირჩია.

***— თქვენ არ ყოფილხართ მისი მხარდამჭერი?***

— მე არასდროს არ ვყოფილვარ მისი მხარდამჭერი, არასდროს! ლამის ქმარს გავშორდი მაგის გულისთვის, მაგის მხარდამჭერად რომ ჩაეწერა. კინაღამ გადავირიე, ვუთხარი, რომ ეს კაცი არ არის გაწონასწორებული და აუცილებლად რაღაც უბედურებას ჩაიდენს.

რაღაც პერიოდი ვიყავი ზურაბ ჟვანიას მხარდამჭერი, ვიცოდი, რომ უნდა შეცვლილიყო ყველაფერი. როდესაც ვარდების რევოლუცია ხდებოდა, მე ვიყავი ამერიკაში. იქიდანაც კი დავურეკე ზურას და ვუთხარი, აბა თქვენ იცით, როგორ უსისხლოდ, როგორ წყნარად, როგორ მშვიდად ჩაატარებთ ყველაფერს-მეთქი.

***— მისი დამსახურება იყო ვარდების რევოლუცია?***

— ყველაზე მეტი სიმშვიდე გამოიჩინა ჟვანიამ და, რა თქმა უნდა, შევარდნაძემ, რომელმაც თქვა, მე წავედი სახლშიო. სწორედ მან მისცა უფლება სააკაშვილის გუნდს, რომ ვარდები ეხმარათ და არა, ვთქვათ, კომბლები და ხელკეტები. 2007 წელს რომ დაარბია ეს ცარიელი მოედანი და გამოეკიდა ხალხს, ზუსტად ვიცი, მაშინ რაც მოხდა.

***— რა მოხდა?***

— გიგა ბოკერიას აქვს ერთი ჩემი ძალიან ახლობლისთვის ნათქვამი, 2007 წელს ჩვენ რომ ის სადამსჯელო ოპერაცია არ ჩაგვეტარებინა, ხელისუფლებას ვერ შევინარჩუნებდითო.


# გიწვევთ ევრაზიის ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების საერთაშორისო დეგუსტაცია-კონკურსზე „საქართველო-ღვინის სამშობლო“

მოგეხსენებათ, მიმდინარე წლის 7-9 ნოემბერს ქ. თბილისში საქართველოს ენოლოგთა კავშირის ინიციატივითა და ორგანიზებით, თანაორგანიზატორი-მთავარი სპონსორი ღვინის მაღაზია "რეზერვი" (დ. ტატულაშვილი), მხარდამჭერები: საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტო, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, ასოციაცია ქართული ღვინო, ტელეკომპანია „საფერავი“ — პირველად ტარდება ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების-ევრაზიის ქვეყნების საერთაშორისო დეგუსტაცია — კონკურსი „EURAZIA WINE & SPIRITS COMPETITION 2018 in




TBILISI"-GEORGIA- HOMELAHD OF WINE,"რომელიც ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის OIV -ის პატრონაჟით ტარდება და ფართოდ გაშუქდება საერთაშორისო და ადგილობრივი პრესით, ტელევიზიებით, გადაიღება დოკუმენტური ფილმი.

კონკურსის მიზანია: ევრაზიის ქვეყნების, პირველ რიგში საქართველოს მეღვინეობის პროდუქციის ხარისხობრივი პოტენციალის წარმოჩენა და მათი მხარდაჭერა მსოფლიოს ბაზრებზე. კონკურსში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადეს მსოფლიოში აღიარებულმა დეგუსტატორებმა და სომელიემ, მათ შორი OIV-ის გენდირექტორმა ჟან-მარი ორანმა. ასევე მოწვეულები არიან ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების თემაზე მწერალი-ჟურნალისტები, როგორც ევროპის, ასევე აზიის ქვეყნებიდან. კონკურსის შედეგები გადაეგზავნება ამერიკულ ჟურნალ "Wine Spectator"-ს, რომელიც ყოველწლიურად მსოფლიოს 100 საუკეთესო ღვინოსა და ალკოჰოლიან სასმელს ასახელებს.

კონკურსზე დაშვებულია ღვინოებისა და ალკოჰოლიანი სასმელების შემდეგი ხუთი კატეგორია:

- თეთრი წყნარი ღვინოები
- ვარდისფერი და წითელი წყნარი ღვინოები
- თეთრი, ვარდისფერი და წითელი შუშხუნა ღვინოები
- შემაგრებული, სადესერტო და არომატიზებული ღვინოები
- ალკოჰოლიანი სასმელები: ბრენდი, კონიაკი, არაყი, ბალზამი, ლიქიორი

გთხოვთ, საქართველოს წარმატებულმა საწარმოებმა, მარნებმა დროულად წარადგინეთ თქვენი ნიმუშები აღნიშნულ კონკურსზე თქვენი პროდუქციის ეფექტური რეკლამისათვის.

ნიმუშების მიღების ბოლო ვადაა 3 ნოემბერი.

კონკურსში მონაწილეობის ღირებულების მიმღები ბანკი „საქართველოს ბანკი“. მიმღები-საქართველოს ენოლოგთა კავშირი (სეკ). ანგარიშის ნომერი GE80BG0000000825866100

ნიმუშების მიმღები (ოთხ-ოთხი ბოთლი): საქართველოს ენოლოგთა კავშირი, ღვინის მაღაზია „რეზერვი.“ თბილისი, 0108, 9 აპრილის ქ. № 3, მიმღები: ენოლოგთა კავშირის წევრები: **უჩა ტუღუში, შავლეგ ტუღუში — ნიკოლოზ აღდგომელაშვილი მობ. 599313344**

კონკურსის პირობების გაცნობის და ყოველგვარი შეკითხვის შემთხვევაში მოგვმართეთ: **კონკურსის თავმჯდომარეს — მურმან ქურიძე — 599 93 40 40, მენეჯერს — დიანა გრიგორიანი — 557 24 22 20**

საქართველოს ენოლოგთა კავშირის თავმჯდომარე (სეკ) ტ.მ.დ. მურმან ქურიძე


# აფხაზეთში გაზი 30%-ით გაძვირდა

აფხაზეთის მთავრობამ კიდევ ერთხელ ასწია გაზის ტარიფი და საბოლოოდ 2 წლის განმავლობაში გაზის ღირებულება მოსახლეობისთვის 30%-ით გაძვირდა.

ამ გადაწყვეტილებამ აფხაზეთის მოსახლეობის დიდი აღშფოთება გამოიწვია. მთავარი პრეტენზია ის არის, რომ ფასებთან ერთად არ იზრდება შემოსავლები, მათ შორის სახელმწიფო სტრუქტურებში — ფასები იზრდება ყველაფერზე, ხელფასები კი არა.

აფხაზეთს არასდროს ჰქონია ბუნებრივი გაზი, თუმცა ამის დიდი აუცილებლობაც არ არსებობდა.

რესპუბლიკა თითქმის უფასოდ იღებს ელექტროენერგიას ენგურჰესიდან — სწორედ ამ ენერგიით ხდება სახლების გათბობა და სხვა ყველაფერი. 1 კვტ. საათი მოსახლეობისთვის 40 კაპიკი ღირს, იურიდიული პირებისთვის 80 კაპიკი. თუმცა, აფხაზები არაფერს იხდიან ელექტროენერგიის გენერაციაში. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დენს უფასოდ მოიხმარს — სახელმწიფო კომპანია „ჩერნომორენერგოს“ ცნობით, ელექტროენერგიის გადასახადს იხდის აფხაზეთის მოსახლეობის მხოლოდ 30%.

სულ სხვა სიტუაციაა გაზთან დაკავშირებით — მისი მიღება უფასოდ შეუძლებელია, რადგანაც აფხაზეთში არ მუშაობს ბუნებრივი აირის მიწოდების ცენტრალიზებული სისტემა. ამ ბიზნესში საქმიანობს კომპანია „სუხუმგაზი“, რომელიც მოსახლეობას თხევად გაზს გარკვეული ღირებულების სანაცვლოდ ბალონებით ურიგებს. ამ შემთხვევაში უფასოდ არაფერი არ გამოვა.

გაზი ძირითადად საჭმლის მომზადებისა და წყლის გაცხელებისთვის გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ელექტროენერგია გაითიშება. გათბობისთვის გაზი არ გამოიყენება.

თუმცა, ამის მიუხედავად, გაძვირებას არ ჩაუვლია შეუმჩნევლად — რამდენიმე დღის წინ თუ 1 ბალონი გაზი 550 რუბლი ღირდა, დღეს მისი ფასი 650-ია.

სახელმწიფო კომპანია „სუხუმგაზის“ დირექტორ დიმიტრო ადლეიბას თქმით, მთავრობის გადაწყვეტილების მიზეზია რუსეთში შესასყიდი გაზის 20%-ით გაძვირებაა.

— შესაბამისად, ჩვენ არ გვქონდა სხვა არჩევანი. ჩვენ ვართ მოგებაზე ორიენტირებული საწარმო და არ შეგვიძლია გაზის გაყიდვა საბაზროზე დაბალ ფასებში, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ ვიარსებებთ, გავკოტრდებით და მერე საერთოდ არანაირი გაზი არ იქნება — არც ძვირი და არც იაფი, — ამბობს ადლეიბა.

მისი თქმით, დღევანდელი ფასიც კი არ არის მაქსიმუმი — მთავრობის გადაწყვეტილებით 1 ბალონის საფასო ლიმიტი 680 რუბლია, თუმცა გარკვეული გათვლების შემდეგ შესაძლებელი გახდა გაზის ფასის განსაზღვრა 650 რუბლის დონეზე.

— ერთი ბალონის შესასყიდი ფასი ჩვენთვის არის 536 რუბლი, შესაბამისად, ჩვენი მოგებაა 86 რუბლი ყოველი ბალონიდან. ამ თანხიდან ვუხდით ხელფასებს თანამშრომლებს, ვისტუმრებთ საბიუჯეტო ვალდებულებებს და ვინახავთ საავარიო სამსახურს, — განაცხადა ადლეიბამ.

რაც შეეხება საბიუჯეტო სფეროს, ხელფასები ბოლოს 2015 წელს გაიზარდა — კერძოდ, 50%-ით გაეზარდათ ხელფასები მხოლოდ თანამშრომელთა გარკვეულ კატეგორიას — სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, პრეზიდენტის ადმინისტრაციის, პარლამენტის და მთავრობის აპარატების, უშიშროების საბჭოს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანამშრომლებს. ხოლო სასამართლოების თანამშრომლებს და მოსამართლეებს 70% მოემატა ხელფასები.

ექოკავკაზია



# „პოლიციის თანამშრომლებმა მაწამეს და ვიდეოს მიღებდნენ“

## რა მოხდა მარტვილში

მოქალაქე ედიშერ სიგუა ირწმუნება, რომ მარტვილის პოლიცია მას სასტიკად გაუსწორდა.



37 წლის მამაკაცის მონაყოლის მიხედვით, სამართალდამცავებმა ის ნასვამ მდგომარეობაში დააკავეს და ჯერ გზაში, შემდეგ კი უკვე პოლიციის განყოფილებაში აწამეს.

სიგუა კონკრეტულ გვარებს ასახელებს. მისი თქმით, პოლიციის განყოფილებაში მას პოლიციის უფროსის მოადგილე, თორნიკე შულაია სცემდა. ძალადობაში სხვა სამართალდამცავებიც მონაწილეობდნენ.

მამაკაცი აღნიშნავს, რომ ცემისას მან გონება დაკარგა, რის შემდეგაც საავადმყოფოში გადაიყვანეს.

– მარტვილის პოლიციის თანამშრომლებმა მაწამეს, პოლიციაშიც, გზაშიც, მიყვანამდეც, პოლიციის შენობაშიც, შენობიდან კაპეზეში გადამიყვანეს, იქაც. როცა მირტყამდნენ, მაშინ თავზე მაფარებდნენ, მერე მიღებდნენ ვიდეოს, რომ ვაგინებდი და რომ ვპასუხობდი. ფეხიც შებმული მქონდა, ხელები უკან მქონდა დაბმული, დამაწევინებდნენ თავს დაბლა და მირტყამდნენ თავის არეში. ოჯახი ექსპერტიზის ჩატარებას ითხოვს და გამოძიებისთვის პროკურატურას მიმართავს, – განაცხადა ედიშერ სიგუამ.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მოქალაქე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით დააკავეს, რაც პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას გულისხმობს.

შს სამინისტროს ცნობით, მამაკაცი პოლიციამ 1.000 ლარით დააჯარიმა.

პოლიციელთა მხრიდან ძალის შესაძლო გადამეტებას სწავლობს პროკურატურა.

# ირანელ ნარკომოვაჭრეს 10 წელი მიესაჯა



ბათუმის საქალაქო სასამართლომ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვისათვის ბრალდებული ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე ჰ.ჰ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს პროკურატურიდან აცნობეს.

როგორც პროკურატურის ინფორმაციაშია აღნიშნული, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ ჰ.ჰ.-მ უკანონოდ შეიძინა და ინახავდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით, 52,9 გრამ ნარკოტიკულ საშუალება ჰეროინს, რაც 2018 წლის 06 მარტს ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში სხეულის დათვალიერების შედეგად იქნა ამოღებული.

„სამართალდამცველებმა ჰ.ჰ. იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეექვსე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა) და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ჰ.ჰ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

# გიორგი გახარია და დიმიტრი ქუმსიშვილი ლონდონის სასამართლომ გამოიძახა

შს მინისტრი გიორგი გახარია და ყოფილი ვიცეპრემიერი დიმიტრი ქუმსიშვილი ლონდონის სასამართლომ დაკითხვაზე დაიბარა.

მსოფლიოში ცნობილმა საადვოკატო ფირმა „ფილდ ფიშერმა“, რომელიც დიდ ბრიტანეთში „ომეგა ჯგუფის“ ინტერესებს იცავს, ეს ინფორმაცია „კურიერს“ ელექტრონული შეტყობინებით დაუდასტურა.

წერილში განმარტებულია, რომ უახლოეს პერიოდში იმავე გზავნილს გამოძახებაზე ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილიც მიიღებს.



ლონდონის სასამართლოსთვის სარჩელს „ფილდ ფიშერი“ „ომეგა ჯგუფის“ დაკვეთით ამზადებს. საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ სარჩელი დანაშაულში თანამონაწილეობასა და კორუფციის ბრალდებით მზადდება.

დიდი ბრიტანეთისგან განსხვავებით, რა კონკრეტული შედეგები აქვს ომეგას საქმეზე საქართველოს პროკურატურას, უცნობია. მიუხედავად იმისა, რომ ჩანაწერებში ლევან ყიფიანი არაერთხელ ახსენებს ლევან ფარცხალაძეს, ის ქართულ გამოძიებას ამ დრომდე არ დაუკითხავს.

გამოძიებასთან კითხვები აქვს ოპოზიციას, ამიტომ საპარლამენტო უმცირესობა შს მინისტრსა და მთავარ პროკურორს პარლამენტში იბარებს.

მმართველი გუნდი კი კვლავ იმაზე საუბრობს, რომ „ომეგას“ საქმეზე ჩანაწერები ღიმილისმომგვრელია. „ქართულ ოცნებაში“ ჩანაწერებს სერიალს უწოდებენ და ამბობენ, რომ პასუხს კითხვებზე არჩევნების შემდეგ გასცემენ.

პარტიის გენერალური მდივანი კი იმის დადგენას ითხოვს, როგორ მოხვდა ჩანაწერები „რუსთავი 2“-ის ხელში.

# „ლადომ დამირეკა, ანა ნაცვლიშვილი დაკარგულია, ვერ პოულობენ და ვეძებთო“

## სასამართლომ ლადო გრიგალაშვილის მამა დაკითხა



თემქაზე მოკლული ანა ნაცვლიშვილის საქმეზე ბრალდებულ ლადო გრიგალაშვილის მამა ზაქარია გრიგალაშვილი გუშინ, 23 ოქტომბერს, სასამართლომ დაკითხა.

მისი თქმით, მკვლელობის ღამეს შვილმა დაურეკა და უთხრა, რომ შეყვარებულს ვეღარ პოულობდნენ.

გრიგალაშვილი იხსენებს, რომ შვილი დაინტერესდა, როგორ შეიძლებოდა მისი ადგილმდებარეობის დადგენა.

– ლადომ დამირეკა, ანა ნაცვლიშვილი დაკარგულია, ვერ პოულობენ და ვეძებთ მეგობრებთან ერთად, ვკითხე, იცოდნენ თუ არა მისმა მშობლებმა. დედამ და დამ იციან და მამას სძინავსო, მითხრა. ვუთხარი გაეღვიძებინათ მამა, რათა ვითარებაში გარკვეულიყვნენ.

დაახლოებით საათ-ნახევარში მითხრა, ანას დედა ხშირად ურეკავდა და მის ტელეფონზე პოლიციის თანამშრომელმა უპასუხა, ანა ცუდად გამხდარა და მეხუთე საავადმყოფოში წაუყვანიათო. მე ვარკეთილში ვარო და მთხოვა, მეხუთე საავადმყოფოში მივსულიყავი. ლადო ჩემი კუთვნილი ავტომანქანით მოვიდა იქ.

როცა ლადომ ტელეფონზე დარეკვა დააპირა, ეზოში პოლიციის მანქანა შემოვიდა, იკითხეს, ლადო გრიგალაშვილი რომელიაო, თემქაზე, მეშვიდე განყოფილებაში ჩაგვიყვანეს. ლადომ იქ დაახლოებით 2 საათი დაჰყო. 2 საათში ის ქალაქის სამმართველოში დასაკითხად გადაიყვანეს, შემდეგ გავარკვიე, რომ ანა ნაცვლიშვილი გარდაცვლილი იყო.

ჩხრეკის ჩატარების შემდეგ გამომძიებელმა ირაკლი ფიფიამ დამირეკა და განმიმარტა, რომ ჩემი შვილი ანა ნაცვლიშვილის მკვლელობის საქმეზე იყო დაკავებული, შემდეგ მოხდა ჩემი გამოკითხვა. ავტომანქანიდან ჩემი კუთვნილი დანა იქნა ამოღებული ქარქაშთან ერთად და ასევე – ანაწმენდები.

ვერ დავიჯერებ, რომ ეს ჩემი შვილის ჩადენილია. მას ანა თავის თავზე მეტად უყვარდა. იდეალური ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. ლადო ყოველთვის იყო ზრდილობიანი, გამორიცხულია, ვინმესთვის რამე ეწყენინებინა, ვერავინ გაიხსენებს, მას ვინმე დაეჩაგროს. ცოლის მოყვანაზეც ჩამოყალიბებული იყო. სამსახურიდან წამოვიდა, კაფეს ამუშავება უნდოდა, რაშიც მეც ვეხმარებოდი. არასდროს ყოფილა ფიცხი, გადახრებზე ზედმეტია საუბარი, – აცხადებს ზაქარია გრიგალაშვილი.

რაც შეეხება იმას, რომ ლადო გრიგალაშვილმა ავტოფარეხის სახურავიდან ბავშვი გადმოაგდო, ზაქარია გრიგალაშვილი ამ ფაქტს არ ადასტურებს.

ანა ნაცვლიშვილის მამა მამუკა ნაცვლიშვილი კი ამბობს, რომ ბრალდებულ ნოდარ გრიგალაშვილის ოჯახს მცდელობა აქვს, „მათი შვილი ანგელოზად გამოიყვანონ“.

– ისინი არიან ნამუსგარეცხილი ხალხი. მეგონა, რომ სანამ ლადო გრიგალაშვილის დედა დაიკითხებოდა, კიდევ რაღაც სინანულის გრძნობა აწუხებდათ. არც კი მოუსამძიმრებიათ. ირონიულად საუბრობდნენ. ჩვენებაში თქვეს, ღირსეული შვილი გვყავსო და ანგელოზად გამოიყვანეს.

როგორც ზაქარია გრიგალაშვილმა თქვა, მან საკუთარი ნებით დატოვა თანამდებობა. მე შეხვედრაზე მინისტრი დამპირდა, რომ გაერკვეოდა სიტუაციაში, თუმცა რა მოხდა იქ, უკვე აღარ ვიცი, – განაცხადა მამუკა ნაცვლიშვილმა.

# „ოცნების“ დეპუტატ გიორგი კახიანის სახლი გაქურდეს

## დააკავეს ლ.ჭ.

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი კახიანის სახლი გაქურდეს. შემთხვევა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მოხდა.

კახიანის სახლის გაქურდვის ფაქტს ადასტურებს სამტრედიის მერი ვალერი ფოცხვერია.

შინაგან საქმეთა სამინისტრო გიორგი კახიანის სახლის ქურდობის ფაქტზე განცხადებას ავრცელებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული, წარსულში ქურდობისთვის ნასამართლევი ბ. კ., 1968 წელს დაბადებული, ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ა. მ. და 1983 წელს დაბადებული წარსულში ქურდობისათვის ნასამართლევი ლ. ჭ., ქურდობის ბრალდებით, სამტრედიაში დააკავეს. ჩადენილი დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.



საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ ბრალდებულებმა ქალაქ სამტრედიაში, აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი კომპანიის კუთვნილი სატვირთო ავტომანქანებიდან 4 აკუმულატორი მოიპარეს.

სამართალდამცველებმა სამივე პირი მომხდარიდან მალევე დააკავეს. პოლიციამ მოპარული ნივთები ნივთმტკიცებად ამოიღო. სამივე დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

აღსანიშნავია, რომ ლ.ჭ.-მ სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერში ერთ-ერთი მოქალაქის სახლის გაქურდვის ფაქტიც აღიარა.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი ქურდობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს“, – აცხადებენ უწყებაში.

# ყაჩაღობისა და პოლიციელზე თავდასხმისთვის შ.კ.-ს 9 წელი მიესაჯა



თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ყაჩაღობაში, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-ტარებასა და პოლიციელზე თავდასხმისთვის ბრალდებული შ.კ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 12 იანვარს, დაახლოებით 23:20 საათზე, ქურდობისთვის ნასამართლევი შ.კ. ქ.თბილისში გლდანის მე-8 მიკრორაიონში მდებარე ხილ-ბოსტნის მაღაზიაში თავს დაესხა გამყიდველს გ.კ-ს და მაღაზიაში მყოფ თ.კ.-ს, მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღიდან ერთი გასროლა განახორციელა და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, გ.კ-ს კუთვნილ თანხას დაეუფლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სასამართლო პროცესზე ასევე დადასტურდა, რომ შ.კ. 2018 წლის 14 იანვარს, დაახლოებით 23:00 საათზე ქ.თბილისში, გლდანში შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრის“ ავტოსადგომზე თავს დაესხა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში მყოფ პოლიციის თანამშრომლებს გ.ჟ.-ს და ა.თ.-ს, მათი მიმართულებით მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლა განახორციელა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა შ.კ. 2018 წლის 19 იანვარს ქ.თბილისში, გლდანის მე-6 მკ/რ-ში დააკავეს. ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა პროკურატურამ მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, ჩადენილი არაერთგზის), 236-ე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება) და 3531 მუხლის პირველი ნაწილით (პოლიციელზე თავდასხმა, პოლიციელის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ შ.კ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად 9 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

# ბათუმში 51 წლის მამაკაცი საცხოვრებელი კორპუსიდან გადმოვარდა

ბათუმში საცხოვრებელი კორპუსიდან 51 წლის მამაკაცი გადმოვარდა. ადგილზე მისულ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფს მამაკაცი უკვე გარდაცვლილი დახვდა.

– ვერ გეტყვით, ზუსტად რა მოხდა. როგორც ადგილობრივები ამბობენ, სავარაუდოდ, სუიციდის შემთხვევასთან გვაქვს საქმე, – განაცხადა პირველ არხთან ბათუმის სასწრაფო დახმარების ცენტრის უფროსის მოადგილე ბადრი პაქსაძემ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.



# ჯამალ ჰაშოგის სხეულის ნაწილები სტამბოლში საუდის არაბეთის საკონსულოში იპოვეს



ვაშინგტონ პოსტის ჟურნალისტ ჯამალ ჰაშოგის ცხედრის ნაწილებს საუდის არაბეთის ელჩის რეზიდენციის ეზოში მდებარე ჭაში მიაგნეს.

ამის შესახებ განცხადება თურქული ოპოზიციური პარტიის „სამშობლოს" ლიდერმა დოგუ პარინჩეკმა განაცხადა.

თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ჯამალ ჰაშოგის ოჯახს, საცოლეს და საუდის არაბეთის მოსახლეობას მიუსამძიმრა და განაცხადა, რომ ეს მკვლელობა გულდასმით იყო მომზადებული.

– ჰაშოგის მკვლელობა გულდასმით იყო მომზადებული. 15 ადამიანი საუდის არაბეთიდან სპეციალური მისიით ჩამოვიდა. ასეთი მხეცური მკვლელობის დაფარვის მცდელობა კაცობრიობის სინდისს ეწინააღმდეგება. თუ ერ-რიადი აცხადებს, რომ ჟურნალისტის სხეული დანაშაულის თანამონაწილემ წაიღო, მაშინ მათ ამ თანამონაწილის ვინაობა უნდა დაასახელონ, – აღნიშნა ერდოღანმა.

მისივე თქმით, ვინაიდან საუბარია პოლიტიკურად მოტივირებულ დანაშაულზე, პასუხისგებაში უნდა მიეცეს თურქეთის ფარგლებს გარეთ მყოფი მისი ყველა თანამონაწილეც.

ამასობაში თურქეთში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი ჯინა ჰასპელი ჩავიდა. ის ჟურნალისტ ჰაშოგის მკვლელობის გამოძიებას ადგილზე უხელმძღვანელებს.

პრეზიდენტმა ტრამპმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ საუდის არაბეთის ხელისუფლების განმარტებამ არ დააკმაყოფილა.

– ჰაშოგის საქმეში უამრავი კითხვის ნიშანია, – თქვა ტრამპმა, – ამიტომ ამერიკის დაზვერვის საუკეთესო კადრები თურქეთში გადავისროლეთ. მათ ყველაფერი ადგილზე უნდა გაარკვიონ. ასეთია ჩემი დავალება.

ტრამპის სიძემ და მრჩეველმა კუშნერმა ჟურნალისტ ჰაშოგის მკვლელობის გამო შეშფოთება გამოთქვა. ეს გასაგებია, რადგანაც კუშნერი საუდის არაბეთის პრინც მუჰამად სალმანთან ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა, აწ განსვენებული ჰაშოგი კი პრინცს მწვავედ აკრიტიკებდა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ჰაშოგის მკვლელობა სწორედ მუჰამად სალმანმა შეუკვეთა.

კუშნერმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ჰაშოგის მკვლელობის გამოძიება მაქსიმალურად გამჭვირვალედ უნდა ჩატარდეს.

– მთელი მსოფლიოს ყურადღება აქეთკენაა მიპყრობილი! ეს უნდა გვახსოვდეს, – თქვა კუშნერმა.

# ნიკოლ პაშინიანი ისევ პრემიერის პოსტზე წარადგინეს



სომხეთის პარლამენტის ფრაქცია „გამოსავალმა" გადაწყვიტა, მთავრობის ხელმძღვანელის პოსტზე პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ნიკოლ პაშინიანის კანდიდატურა წარადგინოს.

ამის შესახებ „ტასს" ფრაქციის მდივანმა გევორგ გორგისიანმა განუცხადა.

– ჩვენ იურიდიულ ნიუანსებზე სპეციალისტებთან ვიმსჯელეთ და გადავწყვიტეთ, პრემიერ-მინისტრის პოსტზე პაშინიანის კანდიდატურა წარვადგინოთ. ეს ტექნიკური ხასიათის ნაბიჯია. პრემიერ-მინისტრის არჩევნები პარლამენტში ხვალ გაიმართება, თუმცა ჩვენი ფრაქცია მასში მონაწილეობას არ მიიღებს, – განაცხადა გორგისიანმა.

აღსანიშნავია, რომ სხვა საპარლამენტო ფრაქციები საკუთარი კანდიდატების წარდგენას არ აპირებენ.

შეგახსენებთ, რომ ნიკოლ პაშინიანი თანამდებობიდან 16 ოქტომბერს გადადგა. ახალი პრემიერ-მინისტრის ასარჩევად პარლამენტს 14 დღე აქვს. თუ ამ ვადაში პრემიერის არჩევა არ მოხდება, ეს პარლამენტის დათხოვნას და დეკემბრის დასაწყისში რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას გამოიწვევს.

# პუტინი: „ყირიმი კანონიერად დავიბრუნეთ"



რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ ყირიმის უკრაინისთვის გადაცემა თავის დროზე უკანონოდ მოხდა. შესაბამისად, მისი რუსეთის შემადგენლობაში დაბრუნება კანონზომიერი მოვლენა იყო.

– რაც შეეხება სევასტოპოლს, ის იურიდიულად უკრაინის შემადგენლობაში არასოდეს ყოფილა. ეს ქალაქი საკავშირო დანიშნულებისა იყო, – თქვა პუტინმა.

ის გამწვავებულ საერთაშორისო ვითარებასაც შეეხო. მან თქვა, რომ ბირთვული კონფლიქტის პირობებში რუსეთს გამარჯვების შანსები გააჩნია.

– ერთ რამ კარგად ვიცი: რუსები სამოთხეში მოხვდებიან, – თქვა პუტინმა.

# რუსეთს მსოფლიოს პატრიარქის პოზიციის გაზიარება მოუწევს



მსოფლიოს პატრიარქმა ბართლომემ გაოცება გამოთქვა იმ აგრესიის გამო, რომელიც მოსკოვში უკრაინული ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობამ გამოიწვია.

– უკრაინული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება საეკლესიო კანონების სრული დაცვით მოხდა, – თქვა მსოფლიო პატრიარქმა.

ბართლომემ განაცხადა, რომ რუსების მიერ მის მიმართ აგორებული შავი პიარი მიზანს ვერ მიაღწევს. ვერ მოხერხდება როგორც მსოფლიო პატრიარქის იზოლაცია, ასევე უკრაინული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების ჩაშლა.

– მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინელების ავტოკეფალიის აღიარებასთან შეგუება მოუწევს, – თქვა ბართლომემ.

# მაასმა დახმარებისთვის ნატოს მიმართა




გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაასმა განაცხადა, რომ შეშფოთებულია საშუალო და მცირე რაკეტებთან დაკავშირებული შეთანხმებიდან აშშ-ის გასვლით.

მინისტრი ამბობს, რომ იძულებულია, დახმარებისთვის ნატოს მიმართოს.

– მივმართავ ნატოს ხელმძღვანელობას, რათა აშშ-ის ხსენებული შეთანხმებიდან გასვლა არ დაუშვას, – თქვა მაასმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

## სხვადასხვა

- შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.
- სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

- მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.
- ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# დუდუ დადიანის თასი დელტამ მოიგო

**დელტა-შსს აკადემია ტიტები 85:75**

**(17:20, 26:17, 20:17, 22:21)**

დუდუ დადიანის მემორიალის გამარჯვებული თბილისის დელტა გახდა. ლექსო ლაფანაშვილის, ბექა ქარცივაძის, დავით არწივიძის და ვაკა ბიჭაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა ფინალურ მატჩში შსს აკადემია-ტიტები 85:75 დაამარცხა და კლუბის ისტორიაში პირველ ტიტულს დაეუფლა.

შეგახსენებთ, რომ დუდუ დადიანის ხსოვნის ტურნირი 2002 წლიდან იმართება და წლეულს მეჩვიდმეტედ ჩატარდა. ტურნირში მონაწილეობა სუპერლიგის ათივე წარმომადგენელმა მიიღო, რომლებიც 2 ჯგუფში იყვნენ განაწილებულნი და სატიტულო მატჩში ასპარეზობის უფლება ჯგუფების გამარჯვებულებმა მიიღეს.

ფინალში ერთმანეთს სუპერლიგის დებიუტანტი და უმაღლეს ლიგაში შარშან გადმოსული გუნდი შეხვდნენ. ტიტებისა და დელტას დაპირისპირება საკმაოდ დაძაბული გამოდგა. შეხვედრის ბედი ბოლო წუთებზე, დელტას სასარგებლოდ გადაწყდა, რომელმაც 85:75 იმარჯვა და დადიანის თასის მფლობელი გახდა.



ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა ბექა ბექაური, რომელმაც შეხვედრა 21 ქულით და 8 მოხსნით დაასრულა. გამარჯვებული დუდუ დადიანის ძმისშვილებმა – ნიტამ და სანდრომ სპეციალური პრიზით დააჯილდოვეს. მათვე გადასცეს მთავარი ჯილდო – დუდუ დადიანის 2018 წლის გათამაშების თასი დელტას კაპიტან ზვიად ანთაძეს.

# ბათუმმა უშუალო კონკურენტი დაამარცხა



**ბათუმი-ლოკომოტივი 23:20**

დიდი 10-ის მე-7 ტურის ცენტრალურ მატჩში ბათუმმა ქვეყნის ჩემპიონი და უახლოესი მდევარი, თბილისის ლოკომოტივი, 23:20 დაამარცხა და ლიდერობა გაიმყარა.

ზღვისპირეთში, ხელოვნურ მოედანზე გამართულ მატჩში ანგარიში სტუმრებმა გახსნეს. 2-წუთიანი, თანმიმდევრული შეტევის დასასრულს, ხაზი გიორგი ტალახაძემ გაჭრა და მარჯვენა ფრთიდან იერიშში იოანე ხელაია ჩართო, რომელმაც ბურთი ზურაბ ძნელაძეს გადააწოდა, რომელიც ვერავინ შეაჩერა. ბექა წიკლაურის გარდასახვა ოდნავ არაზუსტი იყო.

ლოკომოტივი საწყის 20 წუთში ინიციატივას ფლობდა, მაგრამ მეტი ქულის აღება ვერ მოახერხა. მერე ბათუმმა შეუტია და ლელომდე ცოტა დააკლდა, სამაგიეროდ მამუკა ნინიძემ ჯარიმა გაიტანა და სხვაობა 2 ქულამდე დაიყვანა. 27-ე წუთზე თბილისელებმა მეტოქის ნახევარზე, რაქში დაკარგეს ბურთი, რომელსაც გიორგი გოგიტიძემ ფეხი წაკრა და მასპინძლებმა 5-მეტრიანი დერეფანი მიიღეს. აუტის მოგების შემდეგ კარგი მოლი დადგა, რომელმაც მანძილი მოიგო, ბოლოს საბა შუბითიძე მოწყდა და ნინიძემ გარდასახა – 10:5.

მეორე ტაიმის დასაწყისში ლოკომოტივს საკუთარ 22-ში ზედიზედ 3 პასი გაუცუდდა, რითაც დურმიშხან ჯაბნიძემ ისარგებლა და ძელებსშუა გატანილი ლელო ნინიძემ გარდასახა. ბათუმი „ვალში" არ დარჩა – 46-ე წუთზე ზურაბ ძნელაძემ ცენტრალურ ხაზთან ნინიძეს გადაცემა ჩაჭრა, მას ლაშა ხმალაძე ბოლო მომენტში დაეწია, მაგრამ ვერ შეაჩერა და ლელო ალამთან გავიდა. 53-ე წუთზე ლოკომოტივმა კიდევ ერთი მრავალფაზიანი შეტევა განახორციელა, რომელიც ახლოდან მიძალებით ლელოთი დაჩი კოპაძემ დაასრულა, ამჯერად წიკლაურმაც გარდასახა და ანგარიში გათანაბრდა – 17:17.

61-ე წუთამდე ნინიძემ და წიკლაურმა ჯარიმები გაცვალეს. 66-ე წუთზე ნინიძემ ერთიც გაიტანა და მასპინძლები დააწინაურა. შეხვედრის მიწურულს ბათუმი კაცნაკლული დარჩა და ლოკომოტივმა შეუტია, მაგრამ მასპინძლებმა თავი დაიცვეს, 23:20 იმარჯვეს და სატურნირო ცხრილშიც ერთპიროვნულად გალიდერდნენ.

**ხარები-არმაზი 17:10**

მარნეულის არმაზი ხარებს რუსთავში პირველი ტაიმის შემდეგ ამარცხებდა, მაგრამ მასპინძლებმა 2 ლელოს გატანა მოახერხეს და 17:10 იმარჯვეს.

გუნდებმა თამაში აქტიურად დაიწყეს. მასპინძლები მცირედ უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ მე-16 წუთზე სინბინით ზურა ქავთარაძე დაკარგეს. არმაზმა მეტობა სწრაფად გამოიყენა: ბურთი გაშალა, იოანე იაშალაშვილმა შეუტია, დაახლოებით 15 მეტრი ბრძოლით გაიარა და რეზი ჯინჭველაშვილმა ლელო გარდასახა.

ხარებს ჯარიმის გატანა მალევე შეეძლო, მაგრამ ლელოზე თამაში არჩია და ბურთი დაკარგა. მასპინძლებმა იერიშები გააგრძელეს, თუმცა დასკვნით ფაზებში სცოდავდნენ და არმაზიც მედგრად იცავდა თავს. შედეგად, 36-ე წუთზე მათ ჯარიმა კარში დაარტყეს და კობა ბუჯიაშვილი ზუსტი იყო – 3:7 პირველი ტაიმის შემდეგ.

ჯინჭველაშვილმა მეორე ტაიმის დასაწყისში ჯარიმით სტუმართა უპირატესობა კვლავ 7 ქულამდე გაზარდა, თუმცა 2 წუთში მასპინძლებისგან ლელო მიიღო. დერეფნის შემდეგ ნიკა ბერძულმა და ირაკლი ნატრიაშვილმა კარგად შეუტიეს, გურამ ქანდაურაშვილმა 5-მეტრიან წყვეტილთან მაღალ სიჩქარეზე მიიღო ბურთი და ბოჭვის მიუხედავად, ლელოს მისწვდა, ხოლო ბუჯიაშვილმა გარდასახვით წონასწორობა აღადგინა.

ხარები 67-ე წუთზე დაწინაურდა. გიორგი ბასილაიამ ბურთი ლელოს სიახლოვეს მიიღო, მოკლე მანძილზე ცრუ მოძრაობით 2 მბოჭავი აირიდა და მასპინძლები დააწინაურა, ხოლო ბუჯიაშვილმა გარდასახა. არმაზმა თამაშის გადარჩენა სცადა, მაგრამ შეტევებში კვლავ შეცდომები დაუშვა, რუსთაველებიც დაცვაში მედგრად დადგნენ და 17:10 მოგებით სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე აღზევდნენ.

**ლელო სარასენსი-არმია 33:5**

ლელო-სარასენსმა არმიას ორივე ტაიმის მეორე ნახევარში 2-2 ლელო გაუტანა და დედაქალაქურ დერბიში მეტოქე ბონუსით, 33:5 დაამარცხა.

დიდ დიღომში, „ლელო-არენაზე" გამართული პირველი 20 წუთი თანაბარ ბრძოლაში, უქულოდ წარიმართა. ანგარიშის გახსნის შანსი არმიას ჰქონდა, მაგრამ ბახვა კობახიძემ კარის წინ 55 მეტრიდან ჯარიმა ვერ გაიტანა. ლელო-სარასენსი მე-20 წუთზე სოსო მათიაშვილის ჯარიმით დაწინაურდა. კობახიძეს წონასწორობის აღდგენა 2 წუთში შეეძლო, მაგრამ საშუალო დისტანციიდან მიზანი კვლავ ვერ გაისწორა. სამაგიეროდ, 30-ე წუთზე მათიაშვილი 45 მეტრიდანაც ზუსტი იყო – 6:0.

ტაიმის ბოლოს მასპინძლებმა 2 გარდასახული ლელო გაიტანეს. 36-ე წუთზე არმიამ საკუთარი დერეფანი წააგო, ნიკო აფციაურმა და გიორგი ჭყოიძემ ცენტრში დაარტყეს, ბურთი მარცხნივ სწრაფად ჩათამაშდა, სადაც დემე თაფლაძე გაიქცა და ბურთი ძელებსშუა დაამიწა. გაწითლებულ დროზე ლელო-სარასენსმა დერეფნიდან შეუტია, მორკინალების დარტყმის შემდეგ სივრცე გაჩნდა, რითაც ბექა მამუკაშვილმა ისარგებლა და მათიაშვილი კვლავ ზუსტი იყო – 20:0.

მიუხედავად ასეთი სხვაობისა, მათიაშვილმა მეორე ტაიმის დასაწყისში კარის წინ 22 მეტრიდან ჯარიმით მორიგი 3 ქულა აიღო. 54-ე წუთზე ალექსანდრე მერკვილიშვილმა ერთადერთი საპასუხო ლელოს გატანა მოახერხა, მაგრამ კიდიდან კობახიძის გარდასახვა ძელმა აისხლიტა.

არმია თამაშში დაბრუნებას ცდილობდა, მაგრამ მე-60 წუთზე კობახიძე სინბინით დაკარგეს, იქვე ლელო-სარასენსმა მოლით შეუტია და გრიგორ ქერდიყოშვილმა ლელოთი დაასრულა. მატჩის მიწურულს არმიამ შეტევაში დაკარგა ბურთი, აკაკი ტაბუცაძემ აიტაცა, დაახლოებით 70 მეტრი მაღალ სიჩქარეზე ირბინა და ლელო-სარასენსს ბონუსიც მოუპოვა – 33:5.

**ჯიქი-აია 20:22**

მთელი თამაში იგებდა გორის ჯიქი ქუთაისის აიასთან, მაგრამ ბოლოს ჯარიმა გაუშვა და 20:22 დამარცხდა.

ვერავინ იფიქრებდა თუ ჯიქი პირველი ტაიმის შემდეგ მატჩს წააგებდა. გორელთა უპირატესობა აშკარა იყო და შესვენებაზეც სოლიდური უპირატესობით გავიდნენ – 20:5.

თუმცა, აიამ მე-2 ტაიმი კარგად ჩაატარა. მეთოდურად ამცირებდა სხვაობას და 2 გარდასახული ლელოს შორის სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანეს. 78-ე წუთზე კი, გორელები დაჯარიმდნენ, მსაჯმა ერთი მორაგბეც გაასინბინა, ჯარიმა კი ლაშა ლომიძემ ზუსტად დაჰკრა და აია შინ 4 ქულით წაიყვანა.

# გლეიზერები პრინცს შეხვდნენ

როგორც იცით, მანჩესტერ იუნაიტედის ახალი მსურველი გამოჩნდა და ეს არაბეთის გაერთიანებული საამიროების პრინცი მოჰამედ ბინ სალმანია. გავრცელებული ინფორმაციით, პრინცი კლუბის სანაცვლოდ გლეიზერებს 4 მილიარდ გირვანქა სტერლინგს სთავაზობს. ბენ სალმანმა ისიც გაახმაურა, რომ საკმაო ფულის დახარჯვასაც აპირებს კლუბში და მისი ინტერესი მხოლოდ საფეხბურთო კლუბის განვითარებაა.



დუბაიში გამართულ კონფერენციას, რომელიც მოკლული საუდის არაბეთის მოქალაქე ჟურნალისტ ჯამალ ჰაშოგის შეეხებოდა, ავრამ გლეიზერი დაესწრო. სწორედ ამ კონფერენციაზე შეხვდნენ ერთმანეთს გლეიზერი და პრინცი მოჰამედი. რაზე ისაუბრეს, ალბათ ყველა ვხვდებით, თუმცა, როგორ დამთავრდა ეს საუბარი, ნამდვილად არ ვიცით.

რამდენიმე დღის წინ გაავრცელეს ინფორმაცია, რომ იუნაიტედი არ იყიდებოდა და გავრცელებული აზრები, რომ არაბული მხარის შემოთავაზებას ძმები დათანხმდნენ, ტყუილი იყო. თუმცა შემოთავაზებული თანხა ლამის მილიარდით აღემატება კლუბის რეალურ ღირებულებას და ეს, მართლაც, მნიშვნელოვანი ფაქტორია ამ გარიგებაში.

# შედეგები

**22 ოქტომბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

არსენალი-ლესტერი ...................... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 9 | 7 | 2 | 0 | 26-3 | 23 |
| 2.ლივერპული | 9 | 7 | 2 | 0 | 16-3 | 23 |
| 3.ჩელსი | 9 | 6 | 3 | 0 | 20-7 | 21 |
| 4.არსენალი | 9 | 7 | 0 | 2 | 22-11 | 21 |
| 5.ტოტენჰემი | 9 | 7 | 0 | 2 | 16-7 | 21 |
| 6.ბორნმუთი | 9 | 5 | 2 | 2 | 16-12 | 17 |
| 7.უოტფორდი | 9 | 5 | 1 | 3 | 13-12 | 16 |
| 8.ევერტონი | 9 | 4 | 3 | 2 | 15-12 | 15 |
| 9.ვულვზი | 9 | 4 | 3 | 2 | 9-8 | 15 |
| 10.მანჩესტერი | 9 | 4 | 2 | 3 | 15-16 | 14 |
| 11.ლესტერი | 9 | 4 | 0 | 5 | 15-15 | 12 |
| 12.ბრაიტონი | 9 | 3 | 2 | 4 | 10-13 | 11 |
| 13.ბარნლი | 9 | 2 | 2 | 5 | 10-17 | 8 |
| 14.კრ.პალასი | 9 | 2 | 1 | 6 | 5-11 | 7 |
| 15.ვესტ ჰემი | 9 | 2 | 1 | 6 | 8-14 | 7 |
| 16.საუთჰემპტონი | 9 | 1 | 3 | 5 | 6-14 | 6 |
| 17.კარდიფი | 9 | 1 | 2 | 6 | 8-19 | 5 |
| 18.ფულემი | 9 | 1 | 2 | 6 | 11-25 | 5 |
| 19.ჰადერსფილდი | 9 | 0 | 3 | 6 | 4-18 | 3 |
| 20.ნიუკასლი | 9 | 0 | 2 | 7 | 6-14 | 2 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სოსიედადი-ჟირონა ...................... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 9 | 5 | 3 | 1 | 23:11 | 18 |
| 2.ესპანიოლი | 9 | 5 | 2 | 2 | 13:7 | 17 |
| 3.ალავესი | 9 | 5 | 2 | 2 | 12:8 | 17 |
| 4.სევილია | 9 | 5 | 1 | 3 | 20:12 | 16 |
| 5.ატლეტიკო | 9 | 4 | 4 | 1 | 10:5 | 16 |
| 6.ვალიადოლიდი | 9 | 4 | 3 | 2 | 8:6 | 15 |
| 7.რეალი | 9 | 4 | 2 | 3 | 13:9 | 14 |
| 8.ლევანტე | 9 | 4 | 1 | 4 | 14:15 | 13 |
| 9.სოსიედადი | 9 | 3 | 3 | 3 | 12:11 | 12 |
| 10.ხეტაფე | 9 | 3 | 3 | 3 | 8:8 | 12 |
| 11.ბეტისი | 9 | 3 | 3 | 3 | 5:7 | 12 |
| 12.ეიბარი | 9 | 3 | 2 | 4 | 10:13 | 11 |
| 13.სელტა | 9 | 2 | 4 | 3 | 13:13 | 10 |
| 14.ვალენსია | 9 | 1 | 7 | 1 | 7:8 | 10 |
| 15.ჟირონა | 9 | 2 | 4 | 3 | 10:13 | 10 |
| 16.ვილიარეალი | 9 | 2 | 3 | 4 | 7:8 | 9 |
| 17.ბილბაო | 8 | 1 | 5 | 2 | 10:14 | 8 |
| 18.ლეგანესი | 9 | 2 | 2 | 5 | 8:13 | 8 |
| 19.რაიო | 8 | 1 | 2 | 5 | 8:17 | 5 |
| 20.უესკა | 9 | 1 | 2 | 6 | 7:20 | 5 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დუისბურგი-ზ.პაული ...................... 0:1

**იტალია. სერია ა**

სამპდორია-სასუოლო ...................... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 9 | 8 | 1 | 0 | 19:6 | 25 |
| 2.ნაპოლი | 9 | 7 | 0 | 2 | 18:10 | 21 |
| 3.ინტერი | 9 | 6 | 1 | 2 | 13:6 | 19 |
| 4.ლაციო | 9 | 6 | 0 | 3 | 13:9 | 18 |
| 5.სამპდორია | 9 | 4 | 3 | 2 | 12:4 | 15 |
| 6.ფიორენტინა | 9 | 4 | 2 | 3 | 15:7 | 14 |
| 7.რომა | 9 | 4 | 2 | 3 | 16:12 | 14 |
| 8.სასუოლო | 9 | 4 | 2 | 3 | 15:14 | 14 |
| 9.ტორინო | 9 | 3 | 4 | 2 | 11:11 | 13 |
| 10.პარმა | 9 | 4 | 1 | 4 | 10:11 | 13 |
| 11.ჯენოა | 8 | 4 | 1 | 3 | 13:15 | 13 |
| 12.მილანი | 8 | 3 | 3 | 2 | 15:11 | 12 |
| 13.სპალი | 9 | 4 | 0 | 5 | 8:10 | 12 |
| 14.კალიარი | 9 | 2 | 4 | 3 | 7:10 | 10 |
| 15.ატალანტა | 9 | 2 | 3 | 4 | 14:12 | 9 |
| 16.უდინეზე | 9 | 2 | 2 | 5 | 8:13 | 8 |
| 17.ბოლონია | 9 | 2 | 2 | 5 | 6:12 | 8 |
| 18.ემპოლი | 9 | 1 | 3 | 5 | 8:13 | 6 |
| 19.ფროზინონე | 9 | 0 | 2 | 7 | 6:24 | 2 |
| 20.კიევო | 9 | 0 | 2 | 7 | 7:24 | -1 |

**შენიშვნა:** კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

**იტალია. სერია ბ**

ბენევენტო-ლივორნო ...................... 1:0

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლანსი-გაზელეკი ...................... 5:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ატრომიტოსი-ასტერასი ...................... 3:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ტრაბზონი-ერზრუმი ...................... 0:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

სპარტა-ბოლესლავი ...................... 4:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

კრაკოვია-გურნიკი ...................... 2:0

**დანია. სუპერლიგა**

ბრონდბიუ-ოდენსე ...................... 1:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

ბრომაპოიკარნა-გიოტებორგი ...... 0:2

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ხელბურთელთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს დაიწყებს

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ხელბურთში კოსოვოში გაემგზავრა, სადაც ხელბურთის მსოფლიო ფედერაციის ტრადიციული შეჯიბრება, იჩფ ტროფი იმართება, რომელიც მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ერთ-ერთი შესარჩევი ეტაპიცაა.



ტროფის ევროპული ზონის შეჯიბრება ბოლო წლებში ორჯერ გაიმართა საქართველოში: 2016 წელს თბილისში საქართველოს გოგონათა ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო იმავე წლის ნოემბერში, ქუთაისში, კაცთა ახალგაზრდული გუნდი მესამე იყო. ამჯერად ტურნირის მნიშვნელობას ამძაფრებს ის, რომ ტროფიდან შესაძლებელი ხდება მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის საგზურის მოპოვება.

პრიშტინაში, 20-წლამდელთა ასაკობრივ კატეგორიაში 6 გუნდი შეიკრიბა: კოსოვო, მოლდოვა, ბრიტანეთი, საქართველო, მალტა და ირლანდია. წრიული ტურნირის გამარჯვებული გადის ინტერკონტინენტალურ ფინალში, რომელიც 2019 წლის პირველ ნახევარში გაიმართება. ითამაშებს 5 რეგიონული შეჯიბრების (ევროპა, აზია, აფრიკა, ამერიკა, ოკეანეთი) გამარჯვებული, ინტერკონტინენტალური ფინალის ჩემპიონი კი მიიღებს 2019 წლის ახალგაზრდული, 21-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს, რომელიც ივლისში ესპანეთში გაიმართება.

ამ თაობის, 1998 წელში დაბადებულთა საქართველოს ნაკრებს უკვე უთამაშია მსოფლიო ჩემპიონატზე – 2017 წლის აგვისტოში, 19-წლამდელთა ტურნირზე, რომელსაც თბილისმა უმასპინძლა. შესაბამისად, გუნდს მეორედ ეძლევა უმაღლესი რანგის ასაკობრივ ტურნირზე თამაშის შანსი.

გუნდის მთავარი მწვრთნელია გიორგი გვაზავა, ასისტენტი – სერგო დათუკაშვილი. ამ დუეტთან ერთად გუნდს ამზადებდა ჩვენი ძველი ნაცნობი, სერბი ჯორჯე რაშიჩი, რომელიც 2013-14 სეზონში საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო და გუნდს სამივე საშინაო მატჩი მოაგებინა – ფინეთთან, თურქეთთან და ლიტვასთან. რაშიჩი დაესწრო საქართველოს თასის გათამაშების მატჩებს, ამის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში მონაწილეობდა ნაკრების კანდიდატთა საწვრთნელ პროცესში და პრიშტინაშიც ნაკრებთან ერთად იქნება.

გუნდში არის 17-20 წლის 12 ხელბურთელი საქართველოს 7 კლუბიდან და 2 ლეგიონერი: ერეკლე არსენაშვილი ბერძნული დიომიდის არგუსიდან და ირაკლი კბილაშვილი ოდესის კლუბიდან. სამწუხაროდ, ტრავმის გამო გვაკლია 2 ძლიერი ხელბურთელი: გიორგი ცხოვრებაძე (საფრანგეთის მონპელიე) და გიორგი ლაპიაშვილი (პეგასი).

პირველი მატჩი მალტასთან გვაქვს, მეორე დღეს კი ბრიტანეთს ვეთამაშებით. ერთდღიანი შესვენების შემდეგ დანიშნულია კოსოვო-საქართველოს მატჩი, რომელიც შესაძლოა გადამწყვეტიც აღმოჩნდეს. ბოლო 2 დღეს ჩვენი ნაკრები მოლდოვასა და ირლანდიას შეხვდება.

# მირალემ პიანიჩი: „მსიამოვნებს საქმის მარტივად გაკეთება“




ტურინის იუვენტუსის წამყვან ფეხბურთელებად კრიშტიანუ რონალდუ, მარიო მანჯუკიჩი, ლეონარდო ბონუჩი, პაულო დიბალა ითვლებიან. თუმცა, გუნდში არის ერთი ფეხბურთელი, რომელიც თავის საქმეს უხმაუროდ და წყნარად აკეთებს.

ეს მირალემ პიანიჩია – იუვენტუსის სული და გული, რომელიც მთლიანად აკონტროლებს მოედნის ცენტრს. მირალემი წარმოშობით ბოსნიელია, საიდანაც მისი მშობლები ომს გაექცნენ. თავად ლუქსემბურგში დაიბადა, იქაურ ასაკობრივ ნაკრებებშიც ითამაშა, მაგრამ მიწის ყივილმა თავისი გააკეთა და ამჟამად ბოსნიის ეროვნული გუნდის ღირსებას იცავს.

პიანიჩს ბრიტანული გამოცემა გარდიანი ესაუბრა.

***– მოედანზე გულშემატკივარი ვერ „გხედავთ“ და სხვებზე ნაკლებად პოპულარული ხართ.***

– არ შევდივარ იმ ფეხბურთელთა რიცხვში, რომლებსაც ბურთთან შეხებისას ერთბაშად 10 სხვადასხვა ცრუ მოძრაობის განხორციელება სურთ. ჩემთვის ეს არ არის საინტერესო. გაცილებით მსიამოვნებს საქმის მარტივად კეთება. მართალია, ამას ბევრი ვერ ხედავს და ვერც აფასებს.

***– ამ კუთხით რომელიმე დიდ ფეხბურთელს ხომ არ ბაძავთ?***

– ბედნიერი ვარ, რომ ხავის, ზიდანის, ინიესტას და პირლოს ცოცხლად ნახვას მოვესწარი. ესენი არიან ფეხბურთელები, რომლებიც საკუთარი მარტივი მოქმედებებით გუნდს აიძულებდნენ, კარგი ფეხბურთი ეთამაშათ. ესენი არიან ფიგურები, რომლებიც სწორ რეაგირებას ახდენდნენ მოედანზე მიმდინარე პროცესებისადმი.

***– იუვენტუსში მთავარ ფიგურად უკვე კრიშტიანუ რონალდუ ითვლება. ასეა?***

– შეხედეთ თუნდაც რონალდუს იუნაიტედის და რეალის პერიოდისას. თქვენ კარგად ნახავთ განსხვავებას. ნახავთ, როგორი სხვანაირი გახდა კრიშტიანუ – უფრო კონკრეტული და ზუსტი.

***– პოლ სქოულზი ამბობდა, რომ რონალდუ თავდაუზოგავად ვარჯიშობდა. იუვენტუსშიც ასეა?***

– ცხადია. რონალდუ ძალიან ბევრს მუშაობს საკუთარ თავზე. სხვათა შორის, თავად რონალდუს ბევრი კომენტარი მაქვს წაკითხული სქოულზთან მიმართებაში. თუ როგორ მუშაობდა საწვრთნელი სესიის დროს და საერთოდაც, როგორი ჭკვიანი და გამორჩეული იყო ინგლისელი. მაგრამ არა იმიტომ, რომ წამში ასჯერ ატარებდა ფეხს ბურთზე – სრულებითაც არა. უბრალოდ, რთულ გადასაწყვეტ ამოცანებს მარტივი მოქმედებებით ხსნიდა. რაც უფრო მარტივია, მით უფრო გენიალურია და პოლი უდავოდ მათ რიცხვშია.

***– როგორ ფეხბურთს ანიჭებ უპირატესობას?***

– მომწონს ისეთი გუნდები, რომლებიც კარგ ფეხბურთს თამაშობენ, როდესაც ბურთი ქვემოთ არის – ფეხებში. ეს არის გააზრებული მექანიზმი და ამ დროს გუნდი ერთ მუშტად არის შეკრული.

***– სერია ა-ში ბოლო წლებში კონკურენტი არ გყავთ. წელსაც ნაპოლი არის თქვენი „მდევარი“, რომელიც ლამაზ ფეხბურთს თამაშობს, მაგრამ შედეგი არ აქვს.***

– ნაპოლი გასულ წლებში, რეალურად ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა. მაგრამ სკუდეტოს და იტალიის თასის მოპოვება სულ სხვა ემოცია და ბედნიერებაა.. ერთ მშვენიერ დღესაც შენი ლამაზი ფეხბურთი უკვე ყველას ბეზრდება. მთავარი შედეგია.

***– იუვენტუსი ბოლო წლებში ორჯერ დამარცხდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში. წელს კი, ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად მიიჩნევა.***

– ჩემპიონთა ლიგა რომ იუვენტუსის მიზანია, ვფიქრობ, დედამიწაზე თითოეულ ფეხბურთში ჩახედულ ქომაგს ეცოდინება. ეს არის გზა, რომელიც უნდა გავიაროთ და დავიპყროთ, მაგრამ მასთან ნაბიჯ-ნაბიჯ სიარულია საჭირო. შესაბამისად ამ ეტაპზე ჩვენი მთავარი მიზანი ლიგის ჯგუფში პირველი პოზიციის დაკავებაა.

***– როგორც ვიცით, ძალიან რთული ბავშვობა გქონდათ და მშობლებსაც ძალიან უჭირდათ.***

– ოჯახთან დაკავშირებით ხშირად მეკითხებიან. დიახ, ჩემს მშობლებს იოლი ცხოვრება არ ჰქონიათ. 20-22 წლისანი იყვნენ, როდესაც სხვა ქვეყნაში გაემგზავრნენ. ქვეყანაში, სადაც სულ სხვა ენაზე ლაპარაკობენ, მათ კი ხელთ სულ რაღაც 3 ჩემოდანი ეჭირათ. მართალია ყველაფრის ნულიდან დაწყება მოუწიათ, მაგრამ მათ საოცარი ოჯახი შექმნეს! დღეისათვის მშობლები ლუქსემბურგში ცხოვრობენ, მათ თავს მშვიდობაა და ყველაფერი რიგზეა. მყავს და-ძმა, რომლებიც შესანიშნავ გარემოში იზრდებიან. ჩემთვის ზუსტად მშობლები არიან სამაგალითონი, რომლებმაც არაფრისგან, საერთოდ არაფრისგან, ყოველგვარი ფუნდამენტის გარეშე მიაღწიეს ყველაფერს!

***– ფეხბურთელობა მამის დამსახურებაა?***

– დიახ. მამაჩემიც ნახევარმცველი იყო და საკმაოდ კარგი. როდესაც გავიზარდე, უფრო და უფრო დავაფასე. მან რეალურად იცოდა თუ როგორ უნდა მოქცეულიყო მოედანზე პროდუქტიულად. უბრალოდ, მას არ ჰქონდა შანსი, კარიერა გაეკეთებინა. თუმცა, ყველაფერი გაიღო, რისი საშუალებაც ჰქონდა. პირველ რიგში, მამაჩემის მიზანი იყო, ქვეყანა რაც შეიძლება სწრაფად დაეტოვებინა, სადაც მას და მისიანებს საფრთხე ემუქრებოდათ.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# რეინჯერი ისრით სიკვდილს გადაურჩა



კენიაში რეინჯერი უილიამ ჰოფმეირი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს სახეში ისრის მოხვედრის შემდეგ, რომელიც მას ადგილობრივმა მცხოვრებმა ესროლა.

რეინჯერი ნაკრძალ მასაი-მარაში პატრულირებდა, რა დროსაც ხის ქვეშ მძინარე მასაის ტომის მეომარს გადააწყდა. 51 წლის ჰოფმეირმა ის გაალვიძა იმისთვის, რომ გაეფრთხილებინა იმის შესახებ, რომ იმ არემარეში მშიერი ლომების პრაიდი დაძრწოდა. მაგრამ მასაის ტომის მეომარმა მისი კეთილი განზრახვა ვერ შეაფასა და მას სახეში მშვილდ-ისარი ესროლა. ისარი ჰოფმეირს ლოყაში შეერჭო, რის შედეგადაც რეინჯერს პირი სისხლით გაევსო. ამ დროს მასაიმ მეორე ისარი მოიმარჯვა და სროლას აპირებდა, მაგრამ ჰოფმეირმა მანქასთან მირბენა, პისტოლეტის აღება და ჰაერში ორი გამაფრთხილებელი გასროლა მოასწრო.

მშვილდოსანი გაიქცა და ბუჩქნარს შეერია, მაგრამ ჰოფმეირმა გადაწყვიტა დამნაშავე დაეჭირა და მას თავისი ყველგანმავალით გაეკიდა.

– აგონიაში ვიყავი, ვინაიდან ისრის შებუმბლული ბოლო ფანჯარაში იყო გამოჩრილი და ყველა ბუჩქის ტოტს ედებოდა, რომელთა ახლოსაც მიწევდა ჩავლა. დახმარებას ვერ ვიძახებდი, ვინაიდან პირი სისხლით მევსებოდა. იძულებული გავხდი, ისარი კბილებით გადამეღრღნა, ეს შესაძლოა „რემბოს“ სცენასავით ჟღერდეს, მაგრამ საშინლად გაბრაზებული ვიყავი, – იხსენებს რეინჯერი.

ერთსაათიანი უშედეგო დევნის შემდეგ ჰოფმეირი დანებდა, დევნა შეწყვიტა და საავადმყოფოში მივიდა. ექიმები შეეცადნენ ფრთხილად ამოეღოთ ისარი, მაგრამ რეინჯერს მათი სიფრთხილე და ნელი მოქმედება არ მოეწონა და ის საკუთარი ხელით ამოიძრო. მედდამ ჭრილობა ანტისეპტიკით დაუმუშავა და რეინჯერი სამუშაოს დაუბრუნდა.

ადგილობრივმა პოლიციამ რეინჯერის დამჭრელზე ძებნა გამოაცხადა. მათ ამაში მასაის საზოგადოებაც ეხმარება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# ბატონებო და ქალბატონებო!

არქიტექტორთა და მშენებელთა საენციკლოპედიო საგამომცემლო ფონდმა დაასრულა მუშაობა საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედიის პირველ წიგნზე. ნაშრომმა დიდი მოწონება დაიმსახურა საზოგადოებაში. წიგნში შევიდა 1600-მდე ღვაწლმოსილი არქიტექტორისა და მშენებლის ბიოგრაფია.

ფონდი აგრძელებს მუშაობას მეორე წიგნის გამოცემისათვის. გთხოვთ წარმოადგინოთ ბიოგრაფიული მასალები იმ პიროვნებებზე, რომელთაც აქვთ არანაკლებ 25 წლის მუშაობის სტაჟი: მშენებლები – არანაკლებ სამშენებლო კომპანიების ტექნიკური დირექტორის თანამდებობაზე; არქიტექტორები – არქიტექტურული კომპანიების (ფირმების) ხელმძღვანელებისა, პრემირებული ობიექტების ავტორები და მშენებლები, ლაურეატები, მეცნიერ-პედაგოგები დოქტორის ხარისხით, პროფესორები.

მასალები უნდა შეიცავდეს ინფორმაციას – დაბადების თარიღსა და ადგილს, უმაღლესი სასწავლებლის დასახელებას, დამთავრების წელს, ფაკულტეტს, სპეციალობას, შრომითი საქმიანობის განვლილ გზას წლების მიხედვით, განხორციელებულ მნიშვნელოვან ობიექტებს, მნიშვნელოვან სამეცნიერო ნაშრომებსა და გამოგონებებს, საპატიო წოდებებსა და სახელმწიფო ჯილდოებს.

მასალები უნდა იქნას წარმოდგენილი ნაბეჭდი სახით (ვორდის ფაილი) და 1 ფოტოსურათი, პირადად დისკზე ჩაწერილი ან ელექტრონული ფოსტით.

**მასალების წარმოდგენის ვადა** – 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

**მისამართი: ქ.თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ. 14ბ. II სადარბაზო, III სართული, შპს „ივერიამშენ-პლუსის“ ოფისი.**

**ელ.ფოსტა: arqiteqtori99@mail.ru**

**საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა საენციკლოპედიო საგამომცემლო ფონდი**


# ასტროპროგნოზი

## 24 ოქტომბრისათვის



**ვერძი** – ფინანსებს გაუფრთხილდით. დღეს მხოლოდ ის ნივთი შეიძინეთ, რომელიც ძალიან გჭირდებათ. **კურო** – კონფლიქტის აღმოფხვრა მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული. პოლემიკაში ნურავისთან შეხვალთ. ნუ იაქტიურებთ. **ტყუპები** – ბედი გამოცდას გიწყობთ. იყავით სამართლიანი და უკომპრომისო. **კირჩხიბი** – ყოველმხრივ იღბლიანი დღეა. შრომა დაგიფასდებათ და მატერიალური მდგომარეობაც გაგიუმჯობესდებათ. **ლომი** – შესაფერისი დღეა მეგობრებთან შეხვედრისათვის, ასევე სტუმრების მისაღებად. ნუ იწუწუნებთ. **ქალწული** – ეს დღე უკავშირდება თავგადასავლებს, მოგზაურობას. აქტიურად დაისვენეთ. **სასწორი** – ფიზიკური დატვირთვა, სპორტი და თუნდაც მხოლოდ ფეხით სიარული ჯანმრთელობას საგრძნობლად გაგიკაჟებთ. **ღრიანკალი** – მოდუნდით, ჩაიტარეთ წყლის პროცედურები. იყავით მიზანდასახული. **მშვილდოსანი** – ახლო ნათესავების მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. იყავით კეთილგონიერი და დამთმობი. **თხის რქა** – პროვოკაციას ნუ წამოეგებით. გაუფრთხილდით საკუთარ ავტორიტეტს. **მერწყული** – დღის მეორე ნახევარი იღბლიანია საქმიან ქაღალდებზე ხელმოსაწერად, ბიზნესპარტნიორებთან მოლაპარაკებებისათვის. **თევზები** – გამოიჩინეთ ხასიათის სიმტკიცე, იოლად არავის მიენდოთ. გაითვალისწინეთ ახლო მეგობრის რჩევა.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 2. ეგვიპტის კუნძული წითელ ზღვაში; 3. ჯაზის იმპროვიზაციული სტილი; 4. მაფიის სახელწოდება იტალიაში; 6. სოფლის პოლიციის უფროსი ძველად; 9. ხურდა ფული საქართველოში; 11. სომეხთა მღვდელი; 15. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 16. პისტოლეტის ჩასადები ტყვიის ბუდე; 17. თევზის ქვირითისაგან დამზადებული ძვირფასი საკვები პროდუქტი; 19. მამათა მონასტრის წინამძღვარი; 21. ბანქოს სათამაშო მაგიდა; 22. სამონასტრო კომპლექსი კახეთში.

**თარაზულად**: 5. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 7. მიკროსკოპის ნაწილი; 8. ერთი პროფესიის ხელოსანთა გაერთიანება ძველად; 10. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 12. ქართველი მოჭიდავე, ოლიმპიური ჩემპიონი; 13. ვრცელი, უტყეო, ბალახოვანი ბუნებრივი ზონა; 14. აეროპორტი კიევში; 18. პურეული მცენარე; 20. კოლუმბიელი პოპვარსკვლავი ქალი; 23. ქერის, ფეტვისგან მომზადებული უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 24. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 25. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იტალიური ფირმა; 26. ისტორიული კუთხე სამხრეთ საქართველოში; 27. უსაფუძვლო, განუხორციელებელი პროექტი, გეგმა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰუნდაი; 2. ეგზემა; 3. ვარჯი; 5. გობი; 6. როდენი; 8. ხამონი; 11. მაჟესტიკი; 13. გლუკოზა; 14. იაშვილი; 15. გინიოლი; 19. დოჟი.

**თარაზულად:** 1. ჰაჯიბეკოვი; 4. ჩონგური; 7. ნოვრუზი; 9. ჯანაოზი; 10. იმამი; 12. ბროსნანი; 16. ყინწვისი; 17. პუნსონი; 18. კვაზიმოდო; 20. კამვოლი; 21. ყაჭი; 22. მიუზიკლი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჰუმენე; 2. ბამბა; 3. სპაზმი; 4. ტრიუმი; 6. მორიელი; 9. ქართუ; 11. მაზანდა; 15. სენკევიჩი; 16. ესკიზი; 17. ქაშანური; 19. იქთიოლი; 21. რაზდანი; 22. ლოკალი.

**თარაზულად:** 5. ვიქტორია; 7. ოოლოგია; 8. ლინატე; 10. კაჭკაჭი; 12. მრუმე; 13. ურანი; 14. ზეთისხილი; 18. ამანი; 20. ასუანი; 23. პოკერი; 24. ზღვა; 25. რუზინე; 26. ლეჩე; 27. ანორაკი.

# მელანია ტრამპის თვითმფრინავი ავარიულად დაეშვა, მეუღლემ კი ის სიმშვიდისთვის შეაქო



აშშ-ს პირველი ლედის მელანია ტრამპის თვითმფრინავი პილოტის კაბინაში ბოლის გავრცელების გამო აფრენიდან მალევე დაბრუნდა მერილენდის სამხედრო ბაზაში.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აფრენიდან 15 წუთის შემდეგ თვითმფრინავის პილოტის კაბინამ ბოლით ავსება დაიწყო, გაჩნდა დამწვრის სუნი. ყველა მგზავრს დაურიგეს სველი პირსახოცები, რათა მათ ამით საკუთარი სასუნთქი გზები დაეცვათ.

პირველი ლედის ოფისის წარმომადგენლის სტეფანი გრიშემის თქმით, ამ ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა. თვითმფრინავი ფილადელფიაში მიფრინავდა.

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა საკუთარი მეუღლე შეაქო იმ სიმშვიდისთვის, რომელიც მან თვითმფრინავის ინციდენტის დროს გამოიჩინა. ამის შესახებ პრეზიდენტმა მონტანაში მიტინგზე გამოსვლის დროს ისაუბრა.

მან აღიარა, რომ როდესაც მას თვითმფრინავში ხანძრის შესახებ აცნობეს, ითხოვა, რომ მისთვის მეტი აღარაფერი ეთქვათ.

მისი თქმით, მელანია ტრამპს არ შეშინებია და სრულ სიმშვიდეს ინარჩუნებდა.

– ის რას აკეთებდა? ისე მშვიდად იყო, რომ არც კი გვჯეროდა. ყველას სახეზე ჰქონდა აფარებული სველი პირსახოცები და ალბათ მეც ასე მოვიქცეოდი, ის კი უბრალოდ იჯდა. ის მართლაც შესანიშნავი პირველი ლედია, – განაცხადა დონალდ ტრამპმა.

# აკაკი შანიძის სახლ-მუზეუმი დანგრეულია



ქართველი ენათმეცნიერის აკაკი შანიძის მუზეუმი დანგრეულია. სამტრედიის რაიონის სოფელ ნოღაში მდებარე ხის სახლი, სადაც ენათმეცნიერი დაიბადა და გაიზარდა, გაპარტახებულია.

ექსპონატები თითქმის აღარ არსებობს, სახლის ერთი კედელი მთლიანად დანგრეულია, სახლის აივნის მოაჯირის ფიგურები დამტვრეულია, ფანჯრებზე მინები ჩამსხვრეულია, ბალახი და ეკალი სახლშია შესული.

ინტერნეტში გავრცელებული ვიდეოდან ჩანს, რომ ენათმეცნიერის სახლ-მუზეუმისთვის დიდი ხანია ყურადღება აღარავის მიუქცევია.

# ქართული მულტფილმები დიდ ეკრანს დაუბრუნდება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა და კინოსტუდია „ქართული ფილმმა“ მუშაობა დაიწყეს ერთობლივ პროექტზე „რე-ანიმაცია“, რაც ქართული მულტიპლიკაციური ფილმების ციფრულ მატარებელზე გადატანას, რესტავრაციასა და კინოთეატრში ჩვენებას ითვალისწინებს.

კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ 300-ზე მეტი ქართული მულტიპლიკაციური ფილმია დაცული. პირველ ეტაპზე დაგეგმილია 1960-1980 წლების 20-მდე ფილმის დიგიტალიზაცია და რესტავრაცია, შემდეგ კი პატარა და მოზარდი მაყურებლისათვის მათი წარდგენა ეროვნული არქივის კინოთეატრში.



ანიმაციური ფილმების ციფრულ მატარებელზე გადატანა ეროვნული არქივის მაღალი გარჩევადობის კინოსკანერზე მიმდინარეობს. მულტიპლიკაციური ფილმების ციფრულ ასლს ფერის, გამოსახულებისა და ხმის კორექცია უკეთდება, რაც მისი პირვანდელი სახის აღდგენას ემსახურება.

პროექტის მიზანია ქართული ანიმაციის დაცვისათვის მისი მაღალი ხარისხის ციფრული ასლის შექმნა და დიდ ეკრანზე ჩვენებით პოპულარიზაციის გაზრდა.

პროექტის პირველ ეტაპზე სპეციალისტები მუშაობენ მულტიპლიკაციურ ფილმებზე: „თერძი ბესო“, „საზამთრო“ და „ჩიკორიკო“, „ყოჩაღი ბაკური“, „ერთხელ ტყეში“, „ბუმბული“, „სახლობანა“, „ბომბორა“, „ხელმარჯვე ოსტატი“, „ლურჯა“...

მულტიპლიკაციური ფილმების პირველი ჩვენება მომდევნო თვეში ეროვნული არქივის კინოთეატრში გაიმართება.

# ყოფილ სილამაზის დედოფალს შუა გზაზე ფეხსაცმლის გახდა სიცოცხლის ფასად დაუჯდა



ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ ლოს-ანჯელესში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ყოფილი სილამაზის დედოფალი დაიღუპა.

წარმოშობით რუსი იანა ლავრენტიევა რესტორნიდან ბრუნდებოდა, სადაც ის და მისი მეგობრები ერთ-ერთი მათი ნაცნობის დაბადების დღეს აღნიშნავდნენ. ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელზე ქალი იმისთვის შეჩერდა, რომ ფეხსაცმელი, რომელიც აწუხებდა, გაეხადა. ამ დროს მას ყველგანმავალი დაეჯახა, რომელმაც შუქნიშნის მოძრაობის ამკრძალავ წითელ ფერზე დიდი სისწრაფით გაიარა.

– ჩვენ ძლიერი დარტყმა დავინახეთ, რამაც ის ჰაერში აისროლა, შემდეგ მძღოლი მას ისევ დაეჯახა, ისე რომ დამუხრუჭება არც კი უცდია, – განაცხადა ლავრენტიევას მეგობარმა. დაშავებული საავადმყოფოში კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი მიიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. ის მიღებული ტრავმებისგან რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.

მძღოლი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. პოლიციამ გამოაქვეყნა კადრები, რომელიც სათვალთვალო კამერებმა გადაიღეს და მათზე აღბეჭდილია მისი ავტომობილი. მათ იმედი აქვთ, რომ იპოვნიან მოწმეს, რომელიც მისი ვინაობის დადგენაში დაეხმარებათ. დაღუპულის ნათესავებმა და ახლობლებმა დამნაშავეს მიმართეს მოწოდებით, გულწრფელი აღიარებით გამოცხადდეს პოლიციაში.

ლავრენტიევა 30 წლის იყო. მან ნორტრიჯში კალიფორნიის შტატის უნივერსიტეტი დაამთავრა და ლოგოპედად მუშაობდა. 2012 წელს მან ლოს-ანჯელესის სილამაზის კონკურსში „მისის რასია“ გაიმარჯვა. მას ოთხი წლის გოგონა და ექვსი წლის ბიჭი დარჩა.

# „ცეკვავენ ვარსკვლავები“ დათო გომართელმა დატოვა



„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეორე საკონკურსო ტური წარუმატებელი მომღერალ დათო გომართელისთვის აღმოჩნდა. მან და მისმა მეწყვილე ირა კვიტინსკაიამ პროექტი დატოვეს.

შოუში აუტსაიდერები დათო გომართელი და ირაკლი კაკაბაძე აღმოჩნდნენ. ირაკლი კაკაბაძე უკვე მეორედ იყო გავარდნის კანდიდატი, თუმცა ამჯერადაც გადარჩა და შოუს დათო გომართელი გამოეთიშა. შემდეგ ტურში ირაკლი კაკაბაძე და ელენე სურმანიძე იცეკვებენ.

მეორე საკონკურსო ტური არაერთი სიახლით იყო სავსე. პროექტის ჟიურიში ნინო სუხიშვილისა და სოფო შევარდნაძის ნაცვლად „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ერთ-ერთი სეზონის გამარჯვებული ქეთი ხატიაშვილი იჯდა. რაც შეეხება კონკურსანტებს, ლალი მოროშკინამ პროექტი პროტესტის ნიშნად პირველივე საკონკურსო ტურის დასრულების შემდეგ დატოვა. მისმა მეწყვილემ, მოცეკვავე დიმა ვარანკინმა ნინო ჩხეიძის მეწყვილე რამაზ ლაზარიაშვილი შეცვალა.

მეორე საკონკურსო ტურში ჟიურისა და მაყურებლის ქულების მიხედვით ლიდერები გიორგი გილიგაშვილი და სალომე ჭაჭუა გახდნენ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ექვსი წლის გოგონამ დედა მოძალადე მამისგან გადაარჩინა



ბრიტანეთის ქალაქ დონკასტერის მცხოვრებმა ჯოდი კიგანსმა განაცხადა, რომ მისმა ექვსი წლის გოგონამ ის მეუღლის ძალადობისგან იხსნა, რასაც ის სამი წლის მანძილზე ითმენდა.

2017 წლის ოქტომბერში გოგონა თავის მასწავლებელთან მივიდა და უთხრა, რომ მამამისი დედამისს ტანჯავდა. მასწავლებელმა ზედამხედველობის ორგანოებს მიმართა, რის შედეგადაც მამაკაცი დააპატიმრეს, ხოლო 2018 წლის სექტემბერში 18 წლით ჩასვეს ციხეში.

როდესაც მამაკაცი დააპატიმრეს, ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას მხრის და ნეკნების მოტეხილობა დაუდგინეს, ასევე ხერხემლის ტრავმა. თავზე რამდენიმე ადგილას თმები ჰქონდა ამოგლეჯილი, ხოლო სხეულზე ნაკბენების კვალი ემჩნეოდა. საავადმყოფოში მან შობის დღესასწაულის ხუთი დღე გაატარა.

– ეს ჩემი ყველაზე საუკეთესო შობა იყო, – განაცხადა კიგანსმა.

მისი თქმით, მეუღლე ასეთი სასტიკი ყოველთვის არ ყოფილა. მათ ერთმანეთი 2005 წელს ღამის კლუბში გაიცნეს, ხოლო სამი წლის შემდეგ დაქორწინდნენ. თავდაპირველად ყველაფერი შესანიშნავად მიდიოდა, მაგრამ დაახლოებით სამი წლის წინ, ქალის მტკიცებით, მოულოდნელად ყველაფერი უარესობისკენ შეიცვალა. ქმარი მას მუშაობის, მობილური ტელეფონით სარგებლობის და მეგობრებთან ან მისი ოჯახის წევრებთან შეხვედრის უფლებას არ აძლევდა. მას დის გასვენების გამოტოვებაც კი მოუხდა, რომელიც 2015 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა.

კიგანსი თავის გოგონას თავის სუპერგმირს უწოდებს, რომელმაც სიცოცხლე შეუნარჩუნა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# მუდმივად ახალგაზრდა მსახიობმა საკუთარი საიდუმლო გაამხილა



ტაივანელი მსახიობი ალისა ჩია ცნობილია საკუთარი ახალგაზრდული გარეგნობით. მან ახლახან საკუთარი 44-ე დაბადების დღე იზეიმა და ისაუბრა იმაზე, თუ როგორ ახერხებს ახალგაზრდული გარეგნობის შენარჩუნებას.

ჩიამ დაბადების დღე ოჯახურ გარემოცვაში აღნიშნა: 35 წლის მეუღლესთან და თავის სამ გოგონასთან ერთად, რომელთაგან უფროსი 13 წლისაა, შუათანა სამი, ხოლო უმცროსი ერთი წლის.

– დაბადების დღე არის ის დღე, რომელიც ქალებს უყვართ და ეჯავრებათ კიდეც, – დაწერა მსახიობმა სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზე და იქვე დაამატა, რომ უფროსმა ქალიშვილმა მას ორმაგი 22 წელი მიულოცა.

მსახიობის თქმით, მას ახალგაზრდული იერის შენარჩუნებაში ალკოჰოლზე სრული უარის, ასევე სალამოს და ღამით ჭამაზე უარის თქმა ეხმარება. მან ასევე აღნიშნა, რომ ცდილობს უარი თქვას შემწვარ და ცხარე საჭმელებზე. გარდა ამისა, ჩია ყოველთვის ადრე იძინებს, ტელეფონს დაძინებამდე ორი საათით ადრე თიშავს, მუდმივად თბილ წყალს სვამს და კვირაში მინიმუმ ორჯერ ვარჯიშობს.

ის ყველაზე მნიშვნელოვნად დასვენებას და მოდუნებას მიიჩნევს.

– უამრავი საშუალება არსებობს საკუთარი თავის მიმართ სიყვარულის გამოსახატავად. დარწმუნდით, რომ სახის მასაჟისთვის დრო გაქვთ და ასევე საკუთარ თავს დასვენების საშუალება მიეცით, – ამტკიცებს ჩია.

ალისა ჩია ძალზე პოპულარულია ჩინეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. 16 წლიდან მას სარეკლამო რგოლებში, ტაივანურ სერიალებსა და ჩინურ ფილმებში იღებენ. ასევე მსახიობს მიჰყავს სატელევიზიო გადაცემები და მღერის.

# ინდოეთში მაიმუნებმა მამაკაცს აგურები დაუშინეს და მოკლეს



მაიმუნების გუნდმა აგურები დაუშინა 72 წლის ინდოელ მამაკაცს. მათ სამშენებლო მასალა მამაკაცს ტყეში დაუშინეს. ხანდაზმული მამაკაცი მიღებული ტრავმებისგან საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ადგილობრივი პოლიციელის თქმით, მაიმუნებმა აგურები დანგრეულ შენობაში შეაგროვეს და შემდეგ ხეებზე აიტანეს. მათ მამაკაცს 20-ზე მეტი აგური ესროლეს. დაღუპულის ოჯახმა სამართალდამცავ ორგანოებს ოფიციალური განცხადებით მიმართა.

– ეს მაიმუნები ნამდვილი დამნაშავეები არიან და პასუხი უნდა აგონ, – განმარტა დაღუპულის ძმამ.

სამართალდამცავების თქმით, მათ არ შეუძლიათ სისხლის სამართლის საქმე აღძრან ცხოველების წინააღმდეგ.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი სოფლის მკვიდრთ არაერთხელ დაუჩივლიათ მტრულად განწყობილი მაიმუნების გამო, მაგრამ ისინი ხელისუფლების დაცვის ქვეშ იმყოფებიან, როგორ განსაკუთრებულად დასაცავი სახეობა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

24 ოქტომბრისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.6951

ევრო — 3.1013

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5131

100 რუსული რუბლი — 4.1338

**ამინდის პროგნოზი 24 ოქტომბრისთვის**




## ტონი კროოსს ლოპეტეგისთან კონფლიქტი აქვს



მადრიდის რეალში საკმაოდ დაძაბული ვითარებაა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გუნდმა ზედიზედ რამდენიმე შეხვედრა წააგო. უკვე აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ ლოპეტეგი მალე დაკავებულ თანამდებობას დატოვებს და, როგორც ჩანს, ეს რეალის ფეხბურთელებსაც სურთ.

უკანასკნელ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიიღო ტონი კროოსმა, რომელსაც ლოპეტეგისთან კონფლიქტი აქვს და კროოსმა რამდენიმეჯერ სახალხოდ გააკრიტიკა ლოპეტეგი.

ამის გამო გერმანელმა ფეხბურთელმა შესაძლოა კიდევ რამდენიმე შეხვედრა გამოტოვოს. ლოპეტეგის ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

## არსენალმა ზედიზედ მეათე შეხვედრა მოიგო

ლონდონის არსენალს ძალიან კარგი პერიოდი უდგას და უნაი ემერის გუნდმა ზედიზედ მეათე შეხვედრაში მოახერხა გამარჯვების მოპოვება.

არსენალმა საკუთარ მოედანზე ლესტერი დაამარცხა და სატურნირო ცხრილში მე-4 ადგილზე გადაინაცვლა.

არსენალმა 7 შეხვედრა ჩემპიონატში, ერთი თასზე და ორიც ევროპის ლიგაზე მოიგო. უნაი ემერის მოსვლის შემდეგ გუნდმა დაიბრუნა ის კომბინაციური თამაში, რაც არსენალს ადრე ჰქონდა. ემერიმ განაცხადა, რომ მისი ფეხბურთელები ყველა დავალებას ძალიან კარგად ასრულებენ და ის ძალიან კმაყოფილია მათი გარჯით.

## მაურო იკარდი: „მინდოდა, მესის ინტერთან ეთამაშა“



მილანის ინტერის ფორვარდი მაურო იკარდი მესის ტრავმას გამოეხმაურა და თქვა, რომ მისთვის ძალიან სამწუხაროა ეს ამბავი.

იკარდის აზრით, მესის გარეშე ბარსელონასთან შეხვედრა ნაკლებად საინტერესო იქნება:

— მინდა, მესის ჯანმრთელობა ვუსურვო, რადგან ის უდიდესი ფეხბურთელია და მის გარეშე ფეხბურთი არ არსებობს. მინდოდა, მესის ჩვენ წინააღმდეგ ეთამაშა, მაგრამ ვერაფერს შევცვლი.

ბარსელონა ინტერს 24 ოქტომბერს დაუპირისპირდება.



## მასიმილიანო ალეგრი: „რონალდო მსოფლიოში საუკეთესოა“

იუვენტუსის მთავარმა მწვრთნელმა მასიმილიანო ალეგრიმ კრიშტიანუ რონალდუზე ისაუბრა და თქვა, რომ ის მსოფლიოში საუკეთესო შემტევია და მას ვერავინ შეეცილება. ალეგრის აზრით, რონალდუს თანაგუნდელებმა მას მაქსიმალურად ხელი უნდა შეუწყონ და გოლების გატანაში დაეხმარონ.

— რონალდუს შეუძლია, ნებისმიერი ეპიზოდიდან გოლი შექმნას და ეს უნიკალური თვისებაა, რომელიც მას საუკეთესოს ხდის მსოფლიოში. ყველა უნდა ეცადოს, რომ რონალდუმ ბურთი მიიღოს მეტოქე გუნდის კარის ახლოს, რადგან ეს თითქმის გარანტირებული გოლია, — განაცხადა ალეგრიმ.

## ჟოზე მოურინიო რეალში დაბრუნებას არ აპირებს

მანჩესტერ იუნაიტედის დამრიგებელმა ჟოზე მოურინიომ თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ ის მადრიდის რეალში დაბრუნებას არ აპირებს.

ინტერნეტში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოურინიო შესაძლოა რეალში დაბრუნებულიყო, მაგრამ, ჟოზეს თქმით, ეს გამორიცხულია.



გარდა ამისა, მოურინიომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ის მანჩესტერიდან წასვლას არ აპირებს და შეეცდება ამ გუნდთან ერთად წარმატების მიღწევას.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## იუმორი

ქალიშვილი მამას ეუბნება:

— მამა, გათხოვებას არ ვაპირებ და სულ შენთან ვიცხოვრებ!

— როგორ ბედავ და მამას ემუქრები!

●●●

ლუდის ბარში მამაკაცი შევიდა, რომელსაც ორივე ხელი თაბაშირში აქვს ჩასმული. ის ბარმენთან მივიდა და ეუბნება:

— შეგიძლიათ, ჩემი ჯიბიდან ლუდისთვის ფული ამოიღოთ?

— რა თქმა უნდა.

— თუ შეიძლება, კათხა ტუჩებთან მომიტანეთ, რომ ლუდი დავლიო.

— კი ბატონო.

რამდენიმე კათხა ლუდის ასეთი სახით დალევის შემდეგ მამაკაცი ბარმენს ეკითხება:

— ხომ ვერ მეტყვით, ტუალეტი სად არის?

— აქედან სამი კვარტალის დაშორებით, ავტოგასამართ სადგურზე.

●●●

ქალი სექსოპათოლოგს მიმართავს:

— ექიმო, მირჩიეთ რამე, ქმარმა პირდაპირ დამტანჯა, მოსვენებას არ მაძლევს.

— რაშია საქმე?

— სამსახურიდან დაბრუნებული საჭმელს შეჭამს თუ არა, მაშინვე საწოლში მიმათრევს. საიდან ამდენი ენერგია, ვერ გამიგია.

— იცით, მოდით უთხარით, რომ ფული არ გყოფნით და კიდევ ერთ სამსახურში მოეწყოს.

ქალი ასეც მოიქცა. ქმარი მეორე სამსახურიდან გვიან ღამით დაღლილი დაბრუნდა. ცოლი ეკითხება:

— საჭმელი გინდა?

— რა საჭმელი, საშინლად დავიღალე. აბა ჩქარა, ლოგინში!

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

— გახსოვს, ადრე ბავშვობაში მშობლები გუდიანი კაცით გვაშინებდნენ.

— მახსოვს, როგორ არ მახსოვს.

— ახლა კი მშობლები ბავშვებს ინტერნეტის გათიშვით აშინებენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


# ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

— გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
— ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
— კანის დაავადებები
— უროლოგია
— გინეკოლოგია

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.






**ანშენ ბუსინ ვან**

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა




**სიაო ჰუო ლუო დან**

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

**მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2**
**ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.**


## ბერამ ახალი კლიპი ცოლთან ერთად გადაიღო



ბერამ ახალი სიმღერა დაწერა და მასზე ვიდეორგოლი ცოლთან ერთად გადაიღო.

„დროის მანქანა“ — ასე ეწოდება ინგლისურენოვან სიმღერას, რომელშიც ბერა და მისი ცოლი ნანუკა გუდავაძე მონაწილეობენ. ეს მათი პირველი ერთობლივი ნამუშევარია.

სიმღერა და მასზე შექმნილი კლიპი ინტერნეტში გავრცელებისთანავე უამრავმა ადამიანმა მოიწონა, გააზიარა და დადებითი კომენტარებითაც შეამკო.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## საზრიანმა მოზარდმა ნიანგს მეგობარი გამოსტაცა

ფილიპინებზე მოზარდმა მეგობარი ნიანგის ყბებისგან ნიჩბის დახმარებით დაიხსნა და აშკარა სიკვდილს გადაარჩინა.

ინციდენტი ქვეყნის სამხრეთში პროვინცია პალავანის ქალაქ ბალაბაკში მოხდა. ორი 16 წლის მოსწავლე პარსი ხულია დიაზი და რონელ სარა ნავით გაემართნენ სასეირნოდ. ისინი შუა მდინარეში დაცურავდნენ და უკვე ნავში დაბრუნებას აპირებდნენ, როდესაც წყლიდან ორმეტრიანი ნიანგი ამოხტა, დიაზს მარჯვენა ფეხში სტაცა პირი და ფსკერისკენ ჩათრევა დაუწყო. საბედნიეროდ მისი მეგობარი არ დაიბნა და რეპტილიას თავში ნიჩაბს მანამდე ურტყამდა, სანამ მტაცებელმა მსხვერპლს პირი არ გაუშვა.

შედეგად დიაზი მხოლოდ შეშინებით და ფეხსა და დუნდულაზე სამი ნაკბილარით გადარჩა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. დენის ძალის საზომი ერთეული; 2. ფეხბურთის სახელწოდება აშშ-ში; 3. საზეიმო წვეულება, დარბაზობა; 5. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 6. აქლემის, ცხენის რძისგან მომზადებული სასმელი; 8. ქართველი თეატრალური რეჟისორი; 11. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 13. სასიამოვნო სურნელება; 14. ჩეხეთის ისტორიული სახელწოდება; 15. ხელოვნური აბრეშუმი; 19. ტანსაცმლის მწარმოებელი ესპანური ფირმა.

**თარაზულად**: 1. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 4. აეროპორტი ლონდონში; 7. ქოსა მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება; 9. სომეხთა მღვდელი; 10. მდინარე დუნაის ძველი სახელწოდება; 12. ქართული წარმოშობის რუსი კომპოზიტორი, ქიმიკოსი; 16. ქართული ხალხური ცეკვა; 17. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 18. ფეშენებელური, იზოლირებული ბინა მრავალსართულიანი სახლის ბოლო სართულზე; 20. პარიზის ძველი სახელწოდება; 21. აუქციონ „კრისტის“ მფლობელი; 22. წიგნის, სტატიის მოკლე შინაარსი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

